

ქართული გზები



საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№6 (283)

15 ოქტომბერი -
15 ნოემბერი
2020

ფასი 1 ლარი

გამოცემის
თავმჯდომარე

რომანისთვის „ქრისტე“ 2020 წლის 28 სექტემბერს საქართველოს პირველი ლიტერატურული ფესტივალის ფიურშიმ რუსთაველის პრემიის ლაურეატს რევაზ მიშველაძეს მიანიჭა ფესტივალის უმაღლესი ჯილდო „გრან პრი“.

როცა ზღვა ქაფს მოიკიდებს, ნაპირი მაშინ გამოჩნდება. აგერ უკვე საქართველო 30 წელია განვითარების ახალ გზას ადგას, მაგრამ ქვეყანა მაინც ისევ ქაფშია ჩაფლული. არ ჩანს ის სამოქმედო არეალი და კონტურები, საითაც უნდა ვიაროთ. თურმე დღეს ქართველ მოსწავლეთა ინტელექტუალურმა შესაძლებლობამ ისე დაიქვეითა, რომ მოსწავლე გადმოსაცემი დავალების მოკლე შინაარსსაც კი ვერ წერს. ასეა ყველა

ში. ჩვენ კი საღათას ძილით გვიძინავს. თითქოს ეს ჩვენ არ გვეხებოდეს. სამსახურად, ქართველს ერთი ან ორი შვილის გაჩენა პატრიოტიზმი ჰგონია. ასე რომ, „მამული, ენა, სარწმუნოება“ დაგვივიწყნია: მამული დამცრობილია, ენაც ცუდ დღეში ჩაგვიგდია, სარწმუნოებაც მით უფრო, როცა სარწმუნოების პირველ პირს ციანიდით მოკვლით დაემუქრებიან, ქვეყანაში ჩვილს, აბა, ვინლა გააჩენს?!

მშობლიურენამივიწყებულ ქართველებს ენა ისე დაავიწყდათ. ყველა

იმნაიშვილი). მართალია, რ. მიშველაძისეულ ახალ რომანში თარგმანის ნაცვლად მხატვრულად მოთხრობილი თანამედროვე ტექსტი გვაქვს. სწორედ ესაა ამ რომანის მთავარი ხიბლი - ტექსტი ისე მიიტანო მკითხველამდე, რომ ყველასთვის შესაშური გახადო. ამავე დროს, ხაზგასასმელია ისიც, რომ ბატონმა რევაზმა ამ რომანით ახალი სინამდვილე, ახალი მხატვრული სამყარო შექმნა. მან პირველმა გაბედა და სახარებაში აქამდე არარსებული სამშობლოს

როგორც უცხოურად ჰქვიაო და ასე გამოიყურება დედაქალაქი თბილისი, რომელსაც დედაქალაქის არაფერი სცხია. რ. მიშველაძის ახალი სახარება ის ნიგნია, ვინც ჩიქორთულად მოლაპარაკე ქართულის მცოდნეს სალიტერატურო ენას შეასწავლის. მკითხველს მშობლიური ენის მხატვრულ საიდუმლოებებს აზიარებს, თვალს დაუამებს და ქართულისადმი კეთილად განაწყობს. ნიგნში ზოგჯერ, ალაგ-ალაგ დიალექტიზმებსაც შევხვდებით (მაგ. - შენმა დარდმა ჩამომახმო, იესო, ძალიან გაბედული და თამამი აზრები გაქვს, მეშინია, ფარისევლებმა რამე არ გიხიბანონ“. ეს ბოლო სიტყვა იმერულია, ჩვენ უფრო ხიმანკლობა და ხიმანკლობს“ გაგვიგონია. ხმარებული სიტყვა სალიტერატუროს ჰგავს და აქ უფრო მხატვრულ იერს ატარებს).

რევაზ მიშველაძის ახალი რომანი „ქრისტე“ ახალი სახარება - დღევანდელი მათხისცემია. ასე რომ, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, რომელსაც თვალი სულ სხვა მხარეს გაუბრუნა, „ქართული ენა“ კი არ უნდა შეზღუდოს საჯარო სკოლებში და აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ აკრძალოს, არამედ კარი გაუღოს თანამედროვე მწერლის თვალთ დახატულ ქრისტეს. მოსწავლეებმა ეს ნიგნი სავალდებულო საგნად გაიხადონ. მეტიც, ქართული ფილმის მესვეურებმა ან ორსერიანი საყმანვილო ფილმი შექმნან ამავე ნაწარმოების მიხედვით, თუ გვინდა ძირძველი გზა არ დავკარგოთ: „ქრისტე“ ანუ ახალი სახარება სრულად შეესაბამება სადღეისო საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ვფიქრობთ, იგი მრავალათასიანი ტირაჟით უნდა გამოიცეს, რათა ყველა ქართველმა მართლმადიდებელმა თანამედროვე ქართულიც რიგიანად ისწავლოს.

რომან „ქრისტეს“ პირველი გამოცემის რედაქტორები არიან: პროფ. ს. სიგუა და პროფ. მ. თავდიშვილი, რეცენზენტები კი პროფ. ი. კვესელავა და პროფ. ვ. შუბითიძე.


წინ ახალი სამანებია დასაპყრობი! ვულოცავ რევაზ მიშველაძეს, დიდებულ მწერალს, რომანისტსა და ნოველისტს, ამ დიდ წარმატებას.

გზა ხსნისა

მღვდლის ნაცვლად „მამაოს“ ამბობს. მონაზონი ქალის აღსანიშნავად - „დედაოს“. და, აი, ცისკიდურზე, წლის მინურულს, გამოჩნდა სრულიად ახალი რომანი, რომელმაც მკითხველის ყურადღება უმალ მიიპყრო. ეს გახლავთ საქართველოს სახალხო მწერლის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის რევაზ მიშველაძის ბოლო რომანი, ახალი სახარება ანუ „ქრისტე“, რომლის პირველი გამოცემა 2020 წელს განხორციელდა, მაინც რით იქცევეს ყურადღებას ეს ნიგნი?

ათი საუკუნის წინათ ძველმა ქართველმა მწერლებმა და მნიგნობრებმა გიორგი და ექვთიმე ათონელებმა სახარების ახალი რედაქცია შეიმუშავეს „ხანმეტური და საბანმიდური“. ტექსტები მაშინდელ ქართულ ენის ნორმებს დაუმორჩილეს და მივიღეთ ე. წ. ქოობრ - ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, რომლის ერთგვარ ანალოგად ბატონი რ. მიშველაძის ეს ახალი ნიგნი-რომანი შეიძლება მივიჩნიოთ. ოთხივე სახარების (მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე) ახლებური გადმოქართულება იოლი საქმე არ გახლავთ. ოთხთავი არის არა მარტო ქართული ენის, მისი ისტორიის უძვირფასესი ძეგლი, არამედ სწორედ აქედან იღებს სათავეს ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ქართული ეთნოგრაფია, ხელოვნება (განსაკუთრებით მხატვრობა) და ბევრი სხვა ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინა (პროფ. ი.

ცნება შეიტანა. ამით იმდროინდელი ისრაელის ბედი თანამედროვე საქართველოს ბედს დაუკავშირა. ეს სიახლე მხოლოდ ბატონმა რევაზმა განახორციელა. მართლმადიდებელი ქართველი მწერლის თვალთ დახატული სახარებისეული მოვლენები იმის ნიმუშიცაა, რომ დიდბუნებოვან ქართულ ენას სიკვდილი არ უწერიან. მსოფლიოში დაახლოებით ექვსათას ენას ითვლიან, მაგრამ არავინ იცის, რამდენ ხანს იარსებებს ჩვენი ძირძველი ქართული ენა. ცნობილი პოლიტოლოგისა და მეცნიერის, ანგარდაცვლილ ჯ. კაშიას თქმით, მსოფლიოში ყოველწლიურად 5 ენა კვდება. თუ ეს ასეა, ადვილი მისახვედრია, რა დღე ელის ქართველურ ენებს - მეგრულ-ჭანურს, სვანურსა და ქართულს. მით უფრო ჩვენს მშობლიურ ქართულს, როცა ქვეყანაში ვიღაც არაქართულის მცოდნეების მიერ ენა ირყენება და ბინიერდება ისეთი თავსმოხვეული სიტყვებით, რომლებიც ქართულ ენაში საერთოდ არ არსებობს: აუთლეთი (AUTLET) ტანსაცმლის მაღაზია, ატელიე და სხვა და მისთ. ბელისსა (BELLISSA). ამ მხრივ თვალს აგიჭრელებთ, „კარფური“ (მაგ. DOJJI) და თბილისის ნებისმიერი ქუჩა. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან: „ქვეყანას პატრონი არ ჰყავს“. ვერაფერი შევასმინე ვერც თბილისის მერს და სხვა უწყებებს, რომ ასე წერა არ შეიძლება. ზოგს ასეთი „შეცდომები“ გლობალიზაციის ბრალი ჰგონია, ზოგ უცხოელს კი ეგრე უნდა ზუსტად,



სფეროში. დიახ, ასეთ დამცრობილ ქვეყანას ვერსად ნახავთ. უცხოელმა სწავლულებმა ისიც კი გვითხრეს, რომ ქვეყანას სულ რაღაც 20 წელიწადში სიკვდილის ბუზი დააჯდება, რადგან მოსახლეობამ გამრავლების ნაცვლად კლება იწყო. ისე მივიღიენით და დავიჩიავით, რომ დაცარიელებულ სოფლებში ხმას ვერავის ვანვდენთ, თითქოს საქართველოში პატრიოტიზმი მოკვდა, ჩაკლულ გრძნობაზე დღევანდელი მთავრობა კრინტსაც კი არ ძრავს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. როცა შობადობამ საფრანგეთში კლება იწყო, საფრანგეთის მთავრობამ თვით ბრიჯიდ ბარდოსაც კი შვილი გააჩენინა. აი, პატრიოტიზმის ფრანგული ნიმუ-

ბადრი ცხადაძე



მანანა დანგაძე

შენსკენ ილტვის

არ მომაკლო შენი სითბო, შენი წყაროს ბადაგი; შენ ხარ ჩემი დედა, მამა, ნატვრა — სულის სადაგი. შენსკენ ილტვის გული წრფელი, მსურს სიმღერით გეფერო... ჩემო ბავშვობის აკვანო, გრძნობავ, უბერებელო. მოზღუდულო ლურჯი მთებით, გაბრძნობილი მძლეველო, მტრისა მტრულად დამრისხავო, სტუმრის გამლალებელო. ვხარობ შენი ალით, წრომით, ტაშისკარით, სურამით, ქვის კედელში კვლავაც კენესის სული უკვდავ ზურაბის... ღორინამკლის კიდეს გავცქერ და შენს „სამარადისოს“, მინისქვეშა საქართველო წმინდა ძვლებით აივსო. სამაროვან-სამარიდან მომძახიან სულები, ჩემი დიდი წინაპრების — მზიდან გადმოსულების. მეც მანდ მინდა დავსამარდე, შენი მინა მეფაროს, რომ სიმშვიდით განისვენო, გულო, დაუდეგარო. რომ სულის გზა მარადისი გამიმზიანმთვარისო, ჩემო ბადაგაურო და წმინდა „სამადადისო“...

მაცხოვარს!

რა უნდა გითხრა იმაზე მწველი, რაც უკვე ითქვა შენზე ჩემამდე, შენს მოსვლას უკვე მეორედ ველი, ვერ ავიკრიბე ხელით ზენამდე.

მოისრა ირგვლივ სინმინდე ძველი, ქვეყნად გამეფდა შურის ბაცილა, აღარ გვყავს ტაძრად თევდორე მღვდელი, მტერი მეფის გზას რომ ააცილა. აღარც დემეტრე „თავდადებული“, თითქოს დიდგორზე ხავსმა იმწვანა, წმინდა ქეთევან - რწმენით ქებული ვერ ჩაიხუტა მშობელ მინამა... ნატვრად გაგვიხდა სიმართლე - წვეთი, მომძლავრებული ქვეყნად პილატი, ღმერთო, მაჩვენე ხნული და ბელტი, რწმენა მომეცი, ძალა მიმატიე... რა უნდა გითხრა იმაზე მეტი, რაც უკვე ითქვა შენზე ჩემამდე... უშენოდ მიჭირს, შენს მოსვლას ველტვი - ვერ ავიკრიბე სულით ზენამდე!

მთვარე ღამის სტუმარი შავ ღრუბლებთან მეძაობს, რატომ იყო მდუმარი აი, თურმე ზეცაო! მოლაღატის პერანგი კეცა, ვერ დაკეცაო, მზეს რა ვუთხრა პასუხად - ამას ვფიქრობ მეცაო.

რატომ ყმუოდა იმ ღამეს ძალი? მთვარემ ღრუბლებშიც გვერდი იცვალა. გათენდა... მაგრამ მწუხრს შერჩა სახლი... იმ დილას... მამა გარდაიცვალა.

პოეტი

ნუ იტყვი... ნუ იტყვი: „საწყალი პოეტი!“ რადგან დაძენილი ქურთუკი აცვია... პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე, ნამდვილად ყველაზე მდიდარი კაცია“

არა სთქვათ... არა სთქვათ: „ბოროტი პოეტი, დამრეცი, ნამგლეჯი, მგელივით ტაცია...“ პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე, ყველაზე კეთილი და სათნო კაცია! რაკი წერს, ნუ ჰკადრებთ: „უნიჭო პოეტი“, რითმა თუ გახედნა და დაუმარცვლია, პოეტი სულია... უბრალო სულია, პოეტი უფლისგან რჩეული კაცია! ნუ შესძრავთ, როდესაც მდუმარებს პოეტი, რამეთუ კრძალულის მანტია აცვია... პოეტი ამქვეყნად ყველაზე ღარიბი და სულით ყველაზე მდიდარი კაცია!

თვალმა ვერ მალა ცრემლი ფარული, შენ კი, შენი სევდა და სიმარტოვე, თითქოს სიზმრიდან ხარ გამოპარული, მერე ცხადში მოხვდი და... მიგატოვებს...

მიგატოვებ და... ვიცი, ერთხელაც გზად გავუყვებ დღეთა ქარავანს... შენ მომიხატავ ია-ენძელას, მიმწუხრის ფერებს და მზეს ჩამავალს. ჟამთაღრეკველი შეგვაკრთობს ძილში და მოგონება გრჩება იარად, აფართხალდება წყეული შიში, გრძნობამ ასე რომ გადაგიარა. გადაიქცევი მოცარულ მხატვრად, დაგებინდება ფერთა ედემი, დაემსგავსები უაზრო ნატვრას, როცა ფიქრით ჩამობერდები. და მიგატოვებ ოდესმე მარტოს, როს შეაცვლება გრძნობას ფაფარი და მოგონებებს ცრემლით დაალტობს ჩემი წარსულის თავშესაფარი.

ეჰ, სანუთროვ, გამარკვიე მივდივარ თუ მოვდივარ, თუ მოვდივარ რად შემოსე ფერი მკაცრი ტონებით?! იის ნაზი სულის ნაცვლად, ახლა ცივი ლოდი ვარ, ნეტავ, საით გამიფრინდნენ ჩემი იადონები.

მძულხარ!

მძულხარ, როდესაც კვირტი იშლება, ყვავილებს პენტავს ფიფქებად ქარი, წვიმის ნაჟურით დაორსულებულ მინას რომ სტკივა ნამამრის კვალი. მძულხარ, როდესაც ყველა ნაკვალევს ზეცის ცრემლები გადარეცხს, ნაშლის, მძულხარ, როდესაც ისევ და ისევ შეიფერება სისხლისფრად ვაშლი. მძულხარ, როდესაც თეთრი ფიფქები სუდარასავით მეხვევა ტანზე, მძულხარ, როდესაც მოგონებების კარავს გაიშლის ფიქრები ბანზე. მძულხარ ზამთარში, მძულხარ ზაფხულში, მძულხარ დარსა და მძულხარ ავდარში, მძულხარ, როდესაც ლექსს ვეჭიდები, სტრიქონს ვატარებ ცეცხლის ღადარში. მძულხარ უჩუმრად, მძულხარ უსიტყვოდ, მძულხარ, როდესაც სარეცელს ვკეცავ და სულ ერთია მზე გამიცინებს, თუ ცრემლებს ინმენდს ღრუბლებით ზეცა... უფალს ავხედე, ცა მოწმენდილა, გული საგულეს კვლავ შენით ფეთქავს, იქ, სადაც სიტყვა „მძულხარ“ ნამომცდა - ყველგან „მიყვარხარ“ მინდოდა მეთქვა.



რაულ ჩილაჩავა

წიგნიდან "სიმეობიანი ორკესტრი წვიმის"

ლავა

ფართო ოთახში ფართო სანოლი, ხოლო სანოლზე ვწევართ მე და შენ. შენა გაქვს კდემი ცოლის... საცოლის და ჩემთვის გინდა შენი ზედაშე.

არ შეიძლება აქ იყო მორცხვი, მე აქ სიმორცხვე მქონდეს, ო, რისი!.. ერთ ხელში — ორი მხურვალე ბორცვი და მეორეში — ფეხებშორისი.

ჩემი ხარ უკვე მთელი სხეულით, მაგრამ ჯერ კიდევ თრთი, იძაბები და ნაბლისფერი თმების ხვეული მაყრია, როგორც ოქროს ძაფები.

ბედნიერი ვარ — ჩემს გამო, ჩემში არ წარკვეთიათ სასო ამურებს და მე სანამდე ჭკუიდან შემშლი, მეზრდება ლერწი სასალამურე.

აქ ნაშლილია ქცევის წესები, უფრო გვახელებს სიტყვა უხეში და ნამიერი ნამოკვნისებით ვინთქმებით ვნების სითუხთუხეში.

გვზაფრავს ნეტარი წვდომის სურვილი, ალაგ ტუჩებით, ალაგ თითებით და თრიან ჩვენი ოქროცურვილი სტალაგმიტები, სტალაქტიტები.

თითქოს ჯაჭვიდან აწყვეტილს ვგავარ, თუმც მინდა შენთან მეტსაც ვბედავდე... იხუვლებს ჩემი ვულკანის ლავა და ჩაგადნება ბოლო წვეთამდე!

7 თებერვალი, 2015

ახალწლის წვიმა

მწერ: "წუხელ წვიმით შევხვდი ახალ წელს..."

(ახალწლის წვიმა ერზაც-თოვლია!..) აქ კი "გრადებმა" ზეცა გახანძრეს და უწყვეტ გრუხუნს წუხს მეთოვლია. წარმოვიდგინე სველი ქუჩები, ცივი ცრემლები დასდით კრამიტებს. შენ მათ ქვეშ მედგრად დარდს ეურჩები და მე ეს ხილვა მამიამიტებს. წვიმა კი, წვიმა მსმენელებს ითხოვს და სათარეშოდ ქარებს აქეზებს... მე მელანდება, ღვთისმშობელს თითქოს შენი ღმილი უკრთის ბაგეზე.

და უსასრულოდ გრძელდება წამი, (მე მისი ელდა სიზმრებში მიმაქვს!..) და ჩრდილოეთის ყინვიან ღამით ჩემს ფანჯარასაც ასკდება წვიმა.

2 იანვარი, 2015

მარადიული ლოდინი დედნის...

ოქროს ლურსმანზე თითქოს ჰკიდია სიზმრების ასლი, სად შენი სახე ჰგავს წლითი-წლობით ნაძერწ იდეალს, რომელსაც დღემდე ვერ ვარქმევ სახელს. ბუხარში ცეცხლი ღულუნებს... გარეთ ზამთარი ართავს თოვლის საჩეჩელს და მე მგონია, სიმართლე მწარე ხელში მალულად შემომარჩევს, სიმართლე ცივი და შემზარავი, რომ ყველაფერი ქვეყნად ასლია და საკუთარ თავს არ ჰგავს არავინ, რადგან სიზუსტეს ყაველი გასვლია. მივჩერებივარ ბრჭყვიალა ჩარჩოს და წარმოსახვას თანდათან ვხედნი. და მაღლი უფალს, სულს ჰყოფნის სარჩო: მარადიული ლოდინი დედნის!

3 იანვარი, 2015

ასუსხად კითხვაზე: „მეჩა?“

ერთხელ იქნება, შეგიხსნი ბლუზას და შეგეხები აზღუდზე რიდით. ძუძუებს შორის ჩაუშვებს ღუზას ჩემი ათივე მთრთოლვარე თითი.

და დაიწყება სხეულთა ჯაფა, აენტებიან ცეცხლად ბაგენი. მე მუხლებს ზემოთ აგინე კაბას, გატყვი: „მოვედი და მოგაგენი!“

როგორც უკუნში ნაპოვნ მარგალიტს, მოგაშტერდები, კვლავ შეგეხები და ძველებური წვით და კანკალით გაიწვიან შენი ფეხები.

მერე იქუხებს... ნამოვა თქეში, რომელიც დღემდე ასე მწყუროდა და... შენი ტანის იდუმალ ტყეში გზას გავიკაფავ უმეგზუროდაც!

7 იანვარი, 2014

სარეცელი

ხომ შეიძლება გასწიო ფარდა და ჩემს მკლავებზე წოლა ინატრო და მათი სანდო კედლების გარდა არ მოისურვო სხვა საბინადრო.

მითხრა: შენი ვარ, ვიცოცხლებ შენში, როგორც სისხლის და სულის ნაწილი. შეგაკრთობ, შეგძრავ, ჭკუიდან შეგმლი, ვით მოგონება ბრმა სიყმაწვილის.

ხომ შეიძლება მოხდეს ასედაც, გაერთსხეულდეს ორი სხეული და როგორც დროით წაშლილ კასეტას კვლავ დამიბრუნდეს ხმები გრძნეული.

მკერდექვეშ ვინახავ სულ ბოლო ტკივილს, რათა მას უცხო თვალი არ ეცეს, და ეფინება ეროსის სხივი შენთვის სათუთად გაშლილ სარეცელს.

10 იანვარი, 2015

შამთხვევა

ამ დღით კი არ გეძახი, გიხმობ და კი არ გკოცნი, ხელზე გემთხვევი. მალულად ჯადო-ბალახებს გიხმობ, რომ გაიქიმო როსმე შემთხვევით.

მე არაფერი არ მინდა, გარდა შენი სიმრთელის და კარგად ყოფნის და ნეტარების იდუმალ კართან დარაჯად დგომის პატივიც მყოფნის.

შენ იქ ხარ, სადაც დღეს უნდა იყო, რადგან განგებამ ასე ინება. იცოდე, მე შენს ტკივილებს ვიყოფ, რაც თვითონ გტკივა, მეც მეტკინება.

მე შენთან შეყრა მენადა ძლიერ, (გიპოვე, გნახე განა შემთხვევით!..) იცოდე, ყველა აღმართი ვძლიე, მე ვარ შემთხვევა და... შეგემთხვევი!

13 იანვარი, 2015

შხაპქვეშ

შენ იხდი ხალათს და შხაპქვეშ დგები, ევსება თვალი ართვალს და ეშმაკს. დასველდა მხრები, დასველდა თმები, თითქოს მინდორში მოგისწრო თქეშმა.

სხეულზე თბილი დაგდის ჩანჩქერი, ნეტარი განცდით გიელავს სახე. საკუთარ ტან-ფეხს ისე დასცქერი, იფიქრებ, თითქოს პირველად ნახე.

შენ ჩემს ცხოვრებას იმგვარად აკლდი, რომ დღემდე შეყრის სურვილით ვდნები. ყველა უჯრედი და ყველა ნაკვთი გაქვს დამუხტული ველური ვნებით.

დრო ვერაგია, არ ვიცი, განა, მაგრამ მანამდე არ დავბერდები, სანამ ამაყად ცერებზე დგანან შენი მთრთოლვარე ძუძუს კერტები.

14 იანვარი, 2015

შენი ზაცა

შენ დაიღალე ზეცაში ფრენით, მე კი მინაზე დგომამ დამალა. იქნებ ორივე არის ღალატი, მაგრამ არცერთი არ ვგრძნობთ ამ ღალატს.

შენ მარადისი სივრცე გიტაცებს, თანაც წინასწარ გინდა იცოდე, ვინ გაგატარებს სანუთროს ხიდზე, უფსკრულთან ხელს ვინ გამოგიწოდებს.

არ ვიცი, იქნებ მზერამ მიმტყუნა, თვითონ ასე შორს ვერ ვიხედები და მიხარია, ჩემს თვალწინ ახლა რომ დაცურავენ თეთრი გედები,

რომ ველებს იქით წითელ ჰორიზონტს ნელა ადნება მზე ჩამავალი და როგორც კეთილ მოჭირნახულეს, თან მიაქვს ჩვენი დარდი მრავალი.

მე არ გამტყუნებ: შენ გინდა გყავდეს ურყევი ბურჯი და დასაყრდენი ანუ ქალური სიზმრის, სურვილის და ჭირვეული ფიქრის ამხდენი.

შენ ამ ყველაფერს, რაც ჩამოვთვალე, დასაბამიდან ხარ მიჩვეული და მათი უცებ დაკარგვის შიშით დამფრთხალ ჩიტივით გითრთის სხეული.

მე ავიტანე, როცა შენს გამო ცხოვრებამ სახრცე გადამიჭირა. იფრინე, სანამ მინაზე ვდგავარ, მე შენი ზეცა მხრებით მიჭირავს.

16-17 იანვარი, 2015

აჰა, ესეჩა!..

საქართველოში ჰყვავის მიმოზა, უფრო და უფრო ცა ისარკება, მე კი ფიფქები სხეულს მიმოსავს და ქარი გლოვობს ზამთრის სარკოფაგს.

ნეტავი, ახლა მეც შინ მამყოფა, თუმც ქარბუქებსაც არ ვუშინდები, მომნატრებია ყინვის დამხოზა და მობრძვლიაღ თეთრად შინდები.

რა იქნებოდა, დროის მანქანით ეს სივრცე უცებ გადამესერა, მომეველო შენთვის ოქროს მაქმანი, მეთქვა: "მოვედი, აჰა, ესეჩა!"

ვხედავ, მოკლდება დღეების რიგი და ყველაფერი ასეც იქნება: მზე საგანგებოს დაგადგამს გვირგვინს, რომ უცებ შევსძლო შენი მიგნება!

1 თებერვალი, 2015

ღამის მუსიკა

დინამიკები გარეთ გამოდგეს, უკრავენ ვალსს და უკრავენ ტანგოს. მინდა ეს ღამე გრძელი გამოდგეს და უსასრულოდ გვთანგოს და გვთანგოს.

მინდა მომედოს დაუშრეტელი ალმური შენთა თეძოთა, მხართა და შურით გასკდეს ჭერი, კედელი, ქალი, მაგიდა, კარადა, ფარდა.

მინდა მესმოდეს ჩურჩული: "მინდა!" და ვპასუხობდე "მინდას" "მინდათი", თანაც მჯეროდეს, რომ ჩვენზე წმინდა ამ ცისქვეშეთში არავინ დადის.

მუსიკას ერწყმის ჩემი ქართული, სურვილთა წყება ელავს კადრებად, მე შენს ხშირ თმებში ვარ გახლართული, მაგრამ თავდახსნა არ მენატრება!

3 თებერვალი, 2015

ტიხარი

ო, ეს ტიხარი სიკვილის არ ინვევს, მაგრამ სიცოცხლის შანსსაც არ ტოვებს. რა ვქნა, რომ მიღმა მარტო არ ინვე, რა მოვუხერხო ამ სიმარტოვეს!

შენი სიტყვები ყურში რეკავენ, მართმევენ თმენას, ადგილს საძილეს. მე წუხელ თითქოს ხელში მეკავე და სულიც, ხორციც გაგინანილე.

ეს იყო წუხელ... ოლონდ ამ დღით ლანდი, აჩრდილი ველარ მიშველის. მე შენ მჭირდები ნალდი, ნამდვილი, პირველყოფილი, მორცხვი, მიშველი.

შენ ჩემს ცისკიდეს ვარსკვლავად შევნი, (ხარ გაზომილი ბევრჯერ ფსონებით!..) და ტიხარსიქეთს ფერფლავენ შენი უდაბნოსავით ცხელი ზონები!

5 თებერვალი, 2015

ლადო სულაბერიძე

რეპრესირებული პოეტი ლადო სულაბერიძე დიდხანს იყო ციხეში და საბჭოთა გულაგების პოლიტიკური პატიმარი. ლადო სულაბერიძეს გამოუქვეყნებელი დარჩა მოგონებათა ნიღბი, რომელიც საინტერესოდ ასახავს ციხეში გაწვევებულ „სამშობლოს გამყიდველთა“ მწერალთა ცხოვრებას. პოეტის მემორუალთა ლადო სულაბერიძემ მოგვანოდა ნაწყვეტი მისი პაპის ჯერ გამოუქვეყნებელი ნიღბიდან, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხსენებთ.

აი, ამნაირ ლაგერში ამოყავი თავი მაგდანში. შეიდი ნლის პატიმრობისას - ციხეებსა და ციხეში ლაგერებში ბევრი საინტერესო პიროვნება შემხვედრია, განსაკუთრებით ქართველები, რომლებთან თანადგომით ბევრ სიღუჭირეს გავუძელი, მათი მეგობრობა ამავად დაუფასებელია ჩემთვის, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობისა აღმოჩნდა ჭაბუკ ამირეჯობთან შეხვედრა აქ, მაგდანის ლაგერში.

გულაგის ლაგერებში ხდებოდა ამა თუ იმ პიროვნებისათვის სასურველი, მნიშვნელოვანი მოვლენები. ლევან გოთუამ მინის ჯურღმულეებში მიაგნო პატარა სამალავ კუთხეს, რა თქმა უნდა, მეგობარი კატორღელების დახმარებით, საცა ჩეკისტებსაც მალულად წერდა ვრცელ რომანს „გმირთა ვარამი“. წერისა და კონსპირაციის ეს პროცესი მისთვის, როგორც დიდი ქართველი მწერლისთვის, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. რომანის გმირთა სახეების ძირ-წყობისას მას უმსუბუქებდებოდა ის მიმე ტვირთი, რაც გულაგის კატორღაში მხრებზე აწვა. მისი ადამიანური ცხოვრების მთავარი დედააზრი ხომ მხატვრული ტილოების შექმნა იყო და რაკი ამ ღვაწლს რიც კი შეეძინა აქაც ახერხებდა, თავის დიდ მახვრულ სამყაროში ჩადირულს სხვა ამქვეყნიური სიძნელეები არად უწინდა.

რამდენჯერმე მოგახსენებ უკვე, ომში, ტყვეობაში, ეროვნულ ლეგიონში, ციხეებსა და ლაგერებში ჩემი მთავარი საზრუნავი ლექსი იყო, მათი თხზვისა და შენახვა-დამალვის პროცესები გადარჩენის ძალას მანიჭებდა. ამ ნიღბის მთავარი პათოსიც ეგ არის.

შეიდი ნლის განმავლობაში ბევრი ქართველი შემხვედ-მეთქი ციხეებსა და ლაგერებში, ვუკითხავდი მათ ლექსებს, მაგრამ ორიოდ მათგანმა თუ გაიგო ჩემი ამ საზრუნავის აზრი, საერთო შიშშიღყო, სიცოცხლე და უკიდურესი სიღუჭირის ვითარებაში ეს ფაქტი-ფუტი დონკისოტურ ქვევად მიანჩნდა მრავალს. საყვედურის ტონით კი არ ვამბობ ამას, ღმერთო კი მომკალი, არა-მეთქი, არც მამინ და, მით უმეტეს, არც ახლა სასაყვედურო არა მაქვს რა მათდამი, იმ ვითარებაში, როცა ერთი მათლაფა ბალანდისათვის კაცი კაცს ჰკლავდა, ვის ჰქონდა იმის თავისი, გაეაზრებინა ჩემი ნვა და დაგვა! მაგრამ ეგ კი იყო:

ის ორიოდ მათაკატორღელი, რომლებმაც მითანაგრძნეს იმ მიმე დღეებში, მაშინაც და ახლაც ჩემთვის უძვირფასესნი არიან.

ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ჭაბუკ ამირეჯობი, რომელიც სრულად მოულოდნელად გადავეყარე მაგდანის კოლონიაში. შეიდი ნლის ციხე-ციხე და ლაგერ-ლაგერ ღონისიალისას ეს შეხვედრა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასი გამოდგა.

შევხვედი სრულად მოულოდნელად-მეთქი, მანამდე არაფერი მსმენოდა მის შესახებ.

გააღეს ჭიშკარი, გადაგვთვალეს და შეგვყარეს ლაგერში. შემოგვეგებნენ იქაურები, ჭიშკართან დაგვხვედნენ, ეძებდნენ ნაცნობებს, მეგობრებს, თანასოფლებებს. მეც შემომხსმა, ქართველები ხო არავინ ხართო. თვალი ვკიდე ჭაღარაშერეულ კაცს, რომელიც განაპირა იდგა და იძახდა, ქართველი, ქართველიო.

მივედი მასთან, მე ვარ-მეთქი ქართველი. გამარჯობა შენო, ხელი გამომიწოდა. მივაგებე მარჯვენა. სხვა ხომ არავინ არიო, მკითხა, არა-მეთქი, აბა, წამოდი, წამოდიო, ჩამკიდა ხელი და გამარადა ერთმანეთში არეულ ათასი ჯურის დამხვედურ-შემოსულ კატორღელებს.

„რა გქვიაო?“
„ლადო-მეთქი“.
„ბიჭოს! სენიია ყოფილხარო“.
„შენც ლადო გქვია-მეთქი“.
„მეც ლადო მქვიაო“.
„აგამენა ღმერთმა-მეთქი“.
„შენც აგამენაო“.

შევედი ბარაკში, ჩავუარეთ ოესართულიან ნარებს, ერთ ნართან შეჩერდა და სანოლ-ქე წამოგდარ მეგობარს შესძახა, ა, ერთი ქართველი ვიპოვეო. დამხვედური წამოგდა, ნარებს შუა აინონა, საკმაოდ ამორდა თავით ნარის მეორე სართულსაც, თვალი მეცა მისი მოგრძო სახე და ღიმილჩამდგარი თვალები, რომლებსაც ახალგაზრდული იერი კი მოსჭარ-

ბებოდათ, მაგრამ ჭირ-ვარამის ნაკვალევაც გვარიანად აწინდა. მალალი სხეული რა გამჭლევებოდა, ეს პირიქით, უფრო უხდებოდა და სპორტულ სიმსუბუქეს მატებდა მის საკმაოდ ფართო მხარ-ბეჭს.

გრძელი ხელი გამომიწოდა, მეც შევაგებე და მითხრა, მე ჭაბუკ ამირეჯობი ვარო.

პირველად გავიგონე ეს სახელი და გვარი. აქამდე არსად შემხვედრია ის, არც გარეთ, არც ციხეებსა და კოლონიებში, არც არა მსმენია მის შესახებ. ერთი თვალის შევლბით მომეწონა ჭაბუკა, დაჩაევებულ კატორღელს არა ჰგავდა, ვაუკაცური იერი კი გამოსჭვიოდა მისი მოვირუსხე.

ჭაბუკ ამირეჯობი.

აქედან დაიწყო ჩემი კატორღული ცხოვრების ახალი ეტაპი.

მინ არის ჭაბუკა?

მეორე დღიდანვე ხარბად დაენაფა ჭაბუკა ჩემს ხელნაწერ ნიგნაკებს. კითხულობდა და მიზარებდა თავის შთაბეჭდილებებს. დილით სამუშაოდ გადიოდა. ლაგერის ახლოს დიდი სამშენებლო უბანი იყო. ამ უბნის სამუშაოთა უფროსად გახლდათ პატიმრების მხრიდან ჭა-

შეხვედრა ჭაბუკ ამირეჯობთან

ფიზიკური გარეგნობისაგან, მაგრამ უფრო სათნოება და გულწრფელობა გამოუკრთოდა ღმილიანი თვალებიდან.

იქვე სანოლზე ჩამომაჯინა და, როცა ჩემი გვარ-სახელი ვუთხარი, მისცა მეთქი: „ლექსებს ხო არა წერთ?“

გამიკვირდა, ამან საიდან იცოდა, არ მიცნობდა, არ ვიცნობდი, არსად შემხვედრია?!

„კი-მეთქი“.

„იბეჭდებოდა თქვენი ლექსები „ჩვენ თაობაშიო?“

„იბეჭდებოდა-მეთქი“.
„წამიკითხავს ომადღო“.
„ბავშვი იქნებოდი-მეთქი მაშინ“.
„გვიყვარდა ყმანვილებს ჟურნალი „ჩვენ თაობა“, მისი პუბლები, ზემირად ვიცოდი მათი ლექსებიო“.

„კარგი თაობა იყო-მეთქი“.

შევტოპე ამ უეცრად წამოწყებულ საუბარში და პირველი გაცნობა-გამოცნობის წვრილმანები გადაგვიწყდა. ჭაბუკამ ლადო ასათიანის ერთი ლექსიც კი თქვა ზემირად და დასძინა:

„ამგვარ ლექსებს ომი ვერ გათელავსო“.

მეცე ლადოს, ჩემს პირველ მასპინძელს მიმართა, კაცო, რად გაჩერებულხარ, სტუმარი გყავს, მიდი მზარეულებთან ჩემი სახელით, რამე გვარიანი საქმელები გამოგვიგზავნონო.

ლადომ ქვაბურებს ხელი დააავლო და წავიდა.

მალევე დაბრუნდა, მაგრამ ცარიელი ქვაბურებითვე. არაფერი გვაქვსო და ხელცარიელი გამოუსტუმრებიათ.

მაგათი დელო, ნამოიძახა ჭაბუკამ, წამოიჭრა და ბარაკიდან დაიქცხლებული გავარდა.

მივდიეთ მე და ლადომ, ვეძახებთ წინ გრძელი და აჩქარებული ნაბიჯებით მიმავალს, დაბრუნდი, არაფერი გვინდა, მოეშვი-თქო, მაგრამ ჩვენი არა ესმოდა რა.

გაავებული, გაცეცხლებული კაცი ბევრი მინახავს ციხეებსა და ლაგერებში, ომშ და ტყვეობაში, ჩხუბსა და ალიაქითში თავადაც ჩავერეულვარ, სხვათა თავგანწირული შერკინების მომხმეცა ყოფილვარ. იმგვარად აღვზნებულსა და აზვავებულს კი არავის შევსწრებოვარ, მაშინ რა ჭაბუკი იყო. სასადილოში შეჭრამდე, გზად მინაში ჩარჭობილი რომელიღაც სარი მოვლიჯო, მე და ლადო მხოლოდ მაშინ მივეხვეთ, როცა სამზარეულოში შევარდა ცხრასართულიანი რუსული გინებით. იქ მყოფ სამ მზარეულს მივარდა, უთავაზა და უთავაზა სამთავეს ღობიდან მოვლევლი სარი. მე და ლადო ვედარაფერს გავვდი, კართან მივედებით და ვუცქერდით, როგორ უბაზუნებდა სარს მზარეულებს. მოიჭრა ორი ზედამხედველიც, მაგრამ ახლოს ვერ მიეკარნენ პირკამეხებულ ჭაბუკას. ორი ხმელი მზარეული ქვაბებს ამოეფარა, მესამე - ჩასაუქველური და მოყებლაჟდა ფეხქვეშ მოიგდო და თავპირი დაუსისხლიანა. ახლა კი ვეცით მე და ლადო, ნუ მოკლავ, კაცო, ეყოფა, თავი გაანებე-თქო, ვეძახეთ, ვემუდარეთ, ხელები ჩავაგლეეთ, საწი გამოვლიჯა ხელიდან ლადომ და ძლივს გამოვიყვანეთ სამზარეულოდან. კართან მდგარ ზედამხედველებს ხმა არ გაუღიათ, გააფთრებული და გაველურებული ჭაბუკა გარეთ გავიყვანეთ. კი არ სუნთქავდა, ხვნეშოდა და ბლატონოური მსუყე გინებით თათხავდა მზარეულებს, გათბით, გაძებით და აღარავისაკენ იხედებით, თქვენი ასე და ისეო.

ბარაკში შევიყვანეთ. ვემუდარე, ჩემი გულისთვის ამდემო რამ რად ატეხე, დაცხრი და დამშვიდდი-მეთქი.

შეხვედრისთანავე პოეზიაზე ლაპარაკი რო გამიმართა, ომამდე ჩემი ლექსებიც რო ნაეკითხა „ჩვენ თაობაში“, ლადო ასათიანის ლექსიცა და იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისიც“ რო გულიანად ამოთქვა ზემირად და იმავე ნუთში აგრეიგად რო გამხეცდა, გაველურდა, გადაირია და კინალამ დახოცა მზარეულები, გულში გავივლე, ეს ვისთან შემყარა უფალმა, ადრე რო შემხვედროდა, ამ ჯოჯობეთურ ციხეებსა და კოლონიებში ჩემს ბედს ძალდი არ დაჰყვებდა-მეთქი.

ბუკა. განათლებით ინჟინერი არ იყო, მაგრამ თავისი ცხოვრების რთულ გზაზე კარგი რუსულის მცოდნემ და საკმაოდ განათლებულმა მოახერხა საინჟინრო საქმეების შესწავლაცა და გარკვევაც. რომელ საზოგადოებაშიც მოხვედებოდა, სწრაფად უღებდა ალღოს ვითარებას. სწრაფადვე აქცევდა გარშემოყოფთ თავისი გავლენის სფეროში და, რა თქმა უნდა, თავაკაცობასა და პირველობას არავის უთმობდა. ეს თანდაყოლილი თვისება იყო მისი და ძალმომრეობა, უხეში ფანდები არასოდეს დასჭირვებია საამისოდ. ცოდნით, გონების გამჭრიახობითა და დიდი ადამიანური სითბოთი, - დაუზოგავად ფანტავდა ამ სიტბოს უცნობ-ნაცნობებში, - მუდამ სამართლიანობის პრინციპული, უკომპრომისო მოთხოვნებით აჯილდოებდა და წუხსავდა გარშემომყოფთ, ამიტომაც ექცეოდა ყოველთვის წინა რიგში, ჩეკისტებიცა და კატორღელებიც კარგად გრძნობდნენ მის ამ უპირატესობას და თამამად აკისრებდნენ წინაკაცის მოვალეობას.

მე არასოდეს გავსულვარ მის სამუშაო უბანზე. ჩვენ, ინვალიდებს ვერ გვაძალბდნენ ფიზიკურ საქმიანობას. ლადო ოქროპირიძეც არ გადიოდა სამუშაოზე, ისიც ინვალიდი იყო, მაგრამ ზონაში საქმიანობდა ცოტე-ცოტად, ხელოსნობა ეხერხებოდა, თუ რამეს ამდაგვარს გამოიხსავდა, ხალისით აკეთებდა.

საღამოს, ჭაბუკა რო სამუშაოდან დაბრუნდებოდა, მერე ერთად ვიყავით, მას სამშენებლო უბნის ამბები მოჰქონდა, ჩვენ შინაურ ამბებს ვახვედრებდით და ვუამბობდით ერთმანეთს ჩვენ-ჩვენ თავგადასავლებს. რამდენიმე დღეში ისე შევეგუეთ ერთურთს, თითქოს ნათესავები ან ბავშვების მეგობრები ვყოფილიყავით.

როცა მე და ჭაბუკა საუბრისას ლიტერატურის სფეროში ამოვეყოფდით თავს, ლადოს ან მიეძინებოდა, ანდა შეუძნელად გაგვეცლებოდა. ჩემი ლექსების კითხვა კი უყვარდა, მე როცა ვკითხულობდი, იმის მოსმენაც, მაგრამ მეგობრებიც კი მე და ჭაბუკა ჩვენს სასაუბროს ნავეტანებოდათ, ლადოს ჩვენთვის აღარ ეცალა.

ზემო იმერელი, ჭიათურელი კაცი იყო ლადო ოქროპირიძე. ზემოიმერულად უქცევდა ლაპარაკისას. ჩემზე უფროსსა და ათასნაირ ჭირ-ვარამის გადამტანს ვერ მოერია ნუთისოფელი, არაკაცურს არაფერს დაუძლევი მისი ხალასი და ალალი ფული, გლეხიო გუნება-განწყობილება, ხასიათი. ამნაირ ბლაქნოურ სამყაროსანებს ახლოსაც არ ეკარებოდა, ამიტომაც შეგუებოდა ჭაბუკას, ამასაც შეგუებისა და გულხასიათიანობის ნიჭი უხვად ჰქონდა განგებისგან მომადლებული, თავის ინტელექტუალურ და ფიზიკურ გამორჩეულობას არანაირად არ აგრძობინებდა ლადოს და იყენე ასე მამაშვილურად ერთად.

არც ჩემი მისვლით დარღვეულა ეს ურთიერთობა. ეგ იყო მხოლოდ, - ჩვენს ლიტერატურულ საუბრებს ვერ ეგუებოდა ლადო და გაგვირიდებოდა ხოლმე ამგვარი ლაპარაკის დროს.

მონყურებოდა ჭაბუკასაც მწერლობაზე საუბრები. ჩემმა ლექსებმა აუშალეს ეს საღერღელი. პროფესიონალი პოეტის მსგავსი რამ შეიცნო ჩემ ნაწერებში და პროფესიული ჩხირკედლაობაც დამიწყო. არა, ჩხირკედლაობა კი არა, ეს იყო პოეზიის დიდი მოყვარულის განსჯანი. იმით დაინტერესდა ძალიან, აგრე სერიოზულად რო ვუვლიდი ჩემ ხელნაწერებს. ზოგი ციცქნა ნიგნაკებად მქონდა შეკრული, იგივე ლექსები თხელ, სიფრიფანა ქალაღებზე მქონდა გადაწერილი წვრილ-წვრილი ასოებით და წიგნის ყდებში ჩაფენილი (მუყაოზე გადაკრული კოლენკორი ავაცალე დაწტეს „ჯოჯობეთის“ რუსული თარგმანის წიგნს, კოლენკორსა და მუყაოს შორის ჩავაფინე თხელი ხელნაწერი ქალაღები და ისევ დავანებე მუყაოზე კოლენკორი. წიგნის ტარეის უფლება გვქონდა, მეტადრე რუსულის, ეს წიგნი თბილისიდან გამომიგზავნა მამარემმა, ამგვარადაც ჩამოვიტანე თბილისში ჩემი ნანერების ერთი ეგ ზემპლარი, რომელიც ამჟამად ჩემს არქივში ინახება).

ვატყობდი, ჭაბუკა იმან უფრო მოხიბლა, ჩემ ნაწერებს ამდენი წლის განმავლობაში ასე თავგადაკლულად რო ვინახავდი და გამოგატარე მკაცრი რეჟიმის ლაგერებიდანაც კი. მან ხო იცოდა, რა ძნელი იყო ეს, ისიც ხო კარგად იცოდა, რა გუნება-განწყობილება უნდა გქონოდა უიმედოდ განწირულ ოცდახუთწლიანი სასჯელის მქონე კატორღელს, ლექსები გეთხზა და გენერა. სიტყვიერად ეს არ გამოუთქვამს, მაგრამ მე გხვედბოდი, ამას რო ფიქრობდა. პოეზიის დიდი მოყვარული რო აღმოჩნდა, ეს რაკი შევამჩნიე, ის რო აგრე ფიქრობდა, ამას დიდი მიხვედრა აღარ უწდოდა.

მივენდე გულიანად.

მალე თავადაც რო მწერალი ყოფილა, ეგაც გამომვლავნდა, რამდენიმე დღის მერე კინო-სცენარის პატარა ეპიზოდი წამიკითხა. სიტყვათა წყოებისა და სურათების ხატვის ნიჭიერება გამობრწყინდა ამ პატარა ეპიზოდებიდანაც. რა თქმა უნდა, მოუწონე ნაწერი და ვთხოვე, ნაკითხა სხვა რამეც, მაგრამ თავი შეიკავა. გამიძილა კია, რომ კარგა ხანია მოფიქრებული აქვს, მაგრამ ჯერჯერობით ენერგიულ წერით პროცესს ვერ შედგომია. აქ, მაგდანში მოუხერხებია ცოტა რამ.

როცა თავისი თავგადასავალი მიამბო, მაშინ მიხვედი, რატომ ადრიდანვე ვერ შედგომია საყვარელი საქმის კეთება. შინაგანი შემოქმედებითი ძალეებით რო იყო დამუხტული, ამაში ლიტერატურაზე საუბრებოთა და კინო-სცენარის პატარა ეპიზოდის ნაკითხვის შემდეგ ნათლად დაგრწმუნდი, მაგრამ რატომ ვერ ახერხებდა მის რეალიზაციას, ეს ჩემთვის ნათელი გახდა ამის მოუსვენარი და ხიფათებით აღსავსე თავგადასავლის გაცნობის შემდეგ.

აი, ეს თავგადასავალიც, რა თქმა უნდა, მოკლედ და სქემატურად.

რაე ჭაბუკამ მიამბო


1921 წლის 18 ნოემბერს დაბადებული, ვიზრდებოდი დედის, რუსული ენის მასწავლებლის მარია ნაკამიძისა და მამის, იურიისტის ირაკლი ამირეჯობის ოჯახში. თბილისის მერვე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის შემდეგ ვსწავლობდი ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმში რადიოგადაცემის მონყობილობათა განხრობით. ბავშობიდანვე რადიომოყვარული ვიყავი, თავად ვანყობდი რადიოსქემებს. მივიღე რადიოტექნიკოსის ნოდება. ტექნიკური გასამხედროებული იყო, როგორც ყველა მაშინდელი საშუალო ტექნიკური სასწავლებელი. ყოველთევე ორ კვირას ვსწავლობდი სამხედრო საქმეს. ამგვარად ტექნიკუმის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე მივიღე სამხედრო ნოდება - მესამე რანგის სამხედრო ტექნიკოსი.

მერე შევედი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მომდევნო წელს კი გადავანდი ფილოლოგიური ფაკულტეტის ექსტერნატის მყოფ კურსზე. ეს ჩემთვის მოსახერხებელი იყო იმიტომ, რომ სწავლასთან ერთად დაბეჯითებით ვთამაშობდი კალათბურთს თბილისის „დინამოში“, რასაც დიდი დრო მიჰქონდა.

იმდროინდელ ახალგაზრდობაში საკმაოდ იყენენ არსებული რეჟიმისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები. ამან განაპირობა ის, რომ შეიქმნა რამდენიმე ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური ორგანიზაცია. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის წევრი მეც ვიყავი. მიუხედავად ულმობელი ტერორისა, ასეთი ორგანიზაციები სოკოვებით მრავლდებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში და ასეთივე ტემპით ხვედებოდნენ საქართველოს უშიშროების შინაგან ციხეში. თუ არ ვცდები, ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების ბოლოს, ოცდაათიანი წლების მიწურულს პირველი მერცხალი იყო ნოდარ (კუპუნა) იაშვილი, გვი აბრამიშვილისა და მათი თანამოაზრეების ორგანიზაცია. ვგულისხმობ სტუდენტურ ორგანიზაციებს.

მეორე მსოფლიო ომის პირველივე დღიდან, 23 ივნისიდან მობილიზაციით ჯარში გამიწვიეს. ვიმსახურე 1942 წლის 16 აგვისტომდე ალექსეევკასა და გროზნოში (სააეროდრომო მომსახურების ათასულში). ჯარიდან გამომისტუმრეს, როგორც არასწორად განვეული, რადგან რეპრესირებული მომხრეობის მქონე ვიყავი - მამა დაიჭირეს 1938 წელს და დახვრებულა, ამის გამო დედაც დაიჭირეს და სამი წელი იჯდა ციხეში.

ჯაროდან დაბრუნების შემდეგ ჩვენმა ორგანიზაციამ კვლავ განახლა მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მესტაფა შელია (დედით აბდუშელიმოლი). მას მოხდილი ჰქონდა სასჯელის სამი წელიწადი, როგორც არასრულწლოვანს და, რაც შემდეგ გამოიკვირა, თურმე განსაკუთრებულ თვალყურის სუბიექტს წარმოადგენდა. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა იარაღის შეძენასა და ტყეში გასულ ნახევრად პოლიტიკურ ჯგუფების მომარაგებაზე. ესენი იყვნენ ადამიანები, რომედლოც არ



ბალათერ არაბული

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ბალათერ არაბული. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ბალათერ!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და თანამოკალმე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ, მართლაც რომ გამორჩეულ ბურჯსა და მეციხოვნეს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნეთ ლექსების ციკლი. ამ დებიუტმა სამწერლო სამყაროს კიდევ ერთი უნიჭიერესი შემოქმედის დაბადება ამცნო. პუბლიკაციას დადებითად გამოეხმაურნენ კრიტიკოსი გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, გაბრიელ ჯაბუშანური... არ იყო შემთხვევითი, რომ სწორედ ამის გამო შექებაში ყოველთვის ძუნწმა და თავდაჭერილმა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ დაგილოცათ შემოქმედებითი გზა და დიდი მომავალი გინინასწარმეტყველათ. ახდა ქართული მწერლობის ჭეშმარიტი კლასიკოსის ნინასწარმეტყველება და დღეს თქვენ ქართული პოეზიის, ქართული ლექსის დიდოსტატთა შორის მოიხსენიებით.

ქართველი მკითხველის, დახვეწილი და გემოვნებიანი მკითხველის სამაგიდო წიგნებად იქცა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „გაზაფხულის ფოთლები“, „დღენათელი“, „დღის სიზმრები“, „ჟამი წუხილის, ჟამი სიხარულის“, „ხევსურული საგა“, ერთგომეული, „ლექსები“, „იხსენებ ჩავლილს...“

სამაგიდო წიგნებად კი იმის გამო იქცა, რომ ამ კრებულებში შესულ ლექსებს გამოარჩევს ფორმისმიერი და თემატური მრავალფეროვნება, ვერსიფიკაციული ძიებები, მეტაფორული აზროვნება, მუდმივი სწრაფვა ხალხური პოეზიის ფესვებთან მიახლებისა; კიდევ ის, რომ თქვენი ლექსები „დარდის ეკლებია“, მაგრამ ისეთი ეკლები, რომლებიც გიზიდავს, შენს სულსა და გულს კანრავს, თუმცა ტკივილების მძაფრ შეგრძნებასთან ერთად მალამოდ გვედება. თქვენი შემოქმედების ერთ-ერთი მხატვრული ხიბლი ისიცაა, რომ მასში მარად მაძიებელი პოეტის სული ირეკლება, პოეტისა, დაჟინებით რომ ილტვის სიკეთის და სიყვარულის დამკვიდრებისკენ. რაზეც არ უნდა წერდეთ, თქვენი ხედვა მუდამ ადამიანისკენ, თანამოძმისკენ არის მიმარ-

თული და მისი ტკივილების დაამებას ემსახურება.

„უმახსოვრო მოგონებები“ ჰქვია თქვენს ერთ უმშვენიერეს, ტკივილებით, დარდით, პირგახსნილი იარებით სავსე ლექსს, რომელიც მართლაც რომ რეკვიემს წარმოადგენს იმ მწვერვალებისა, იმ ხევსუვებისა, იმ წმიდა-თანმიდა ადგილებისა, საიდანაც იწყებოდით თქვენ, ერთი ფესვმაგარი და ღონიერი წარმომადგენელი თანამედროვე ქართული პოეზიისა. ეს ლექსიც და მთლიანად თქვენი შემოქმედებაც ფულკანის კრატერიდან ამოხეთქილ გავარვარებულ ლავას გვავგონებს, რომელიც გვწვავს, გულ-ღვიძლს გვიშანთავს, მოსვენებას არ გვაძლევს და თან, რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, შვებასაც გვგვრის, უფრო მეტიც, სიმაყის გრძობასაც გვიბრუნებს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს სათავეებს იმ სინმინდისა, სისუფთავისა, ვაჟკაცობისა, ქედუხრელობისა, რამაც აქამომდე მოიყვანა საქართველო, თქვენი და ჩვენი საეხავი სამშობლო. თქვენს ლექსებში მართლაც რომ მოგონებების დანის პირზე დადიხართ, ტკივილების ნაკვეთხალებზე და ეს, ერთი შეხედვით, დამთრგუნველი პროცესი შინაგანად გწმინდავთ, გასუფთავებთ და სიკეთისა და სათნოების უმშვენიერეს ნახნაგებს ჩამოქნის თქვენს სხეულში, ასე სავსე, გულუხვად სავსე რომაა „ვარსკვლავსხმული ზეცით და მთვარით...“

ბევრი რამის დანახვა და გათავისება შეგიძლიათ, თუნდაც გაყინული ჩიტების ცრემლისა, თუნდაც იმისა, თუ როგორ უხდება ქარს ნისლის მკრთალი სამოსი; თერგი გაუხედავ კვიცს გაგონებთ, ნასათუთარი ყანა კი - მარადისობის ყვითელ დროშას...

სწორედ ამიტომ და კიდევ ბევრი რამის გამო უყვარხართ მკითხველს. სწორედ ამიტომ ეცნობიან ინტერესით თქვენ შემოქმედებას იტალიელი, ბულგარელი, ლატვიელი, უკრაინელი, მონღოლი, ესპანელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, პოლონელი, რუსი მკითხველები...

ქართულად აამეტყველეთ სერგეი ესენინის, დიმიტრი ზლატევის, ვაგიფ ჯაბრალიზადეს, ვაგიკ დავთიანის, ედუარდ მილიტონიანის, ალაჰვერდი თაქლალის, ჰაინალკა ბაბირაკის, ივანისო ვალდერამას, ნელი თარბას, ივანე თარბას, ბაგრატ შინქუბას, ჰაიმ ნიაპის, იოზეფ დე ჰაანის, ტიმი მულდერის და სხვათა პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

თქვენს კალამს ეკითხვის პუბლიცისტური კრებული „ატლანტის ოკეანეში ქართველ მებადურებთან“.

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, მწერალთა კავშირის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, ჟურნალ „ნობათისა“ და გაზეთ „ლომისის“ მთავარ რედაქტორად, ჟურნალ „ცისკრის“ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელად, პოეზიის განყოფილების გამგედ და ბოლოს მთავარ რედაქტორად, დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდენტის ნევრად და საგამომცემლო საქმიანობის ხელმძღვანელად, გაზეთ „მარავანდის“ სარედაქციო კოლეგიის ნევრად, სომხეთის მწერალთა კავშირის საპატიო ნევრად... თქვენ ხართ ნარიყალაზე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მშენებლობის დანების მოთავე და მონაწილე...

ამჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ხართ და იღწვით, რათა ქართველ მწერალთა ხვედრი იმაზე უკეთესი იყოს, ვიდრე დღესაა. თქვენი დამსახურებაა, რომ არსებობს ქართულ-აზერბაიჯანული ორენოვანი ლიტერატურული ჟურნალი „სხივი“, რომლის რედაქტორიც თავად ბრძანდებით.

არაერთი საერთაშორისო პოეტური ფესტივალის მონაწილეც ხართ და ყოველთვის ღირსეულად წარმოაჩენდით ხოლმე საქართველოს!.. თქვენ ხართ 2002 წელს იტალიაში იუნესკოს მიერ ჩატარებული მშვიდობისადმი მიძღვნილი მსოფლიო პოეზიის ფესტივალის ერთ-ერთი გამარჯვებული...

1999 წელს მიწვეული იყავით ესპანეთში, ევროპის ქვეყნების პოეზიის პოეზიის ფესტივალზე, სადაც ესპანურად დაიბეჭდა თქვენი ლექსების კრებული; ასევე 2018 წელს, მიგინვიეს აზერბაიჯანში გამართულ მსოფლიოს კულტურათა დიალოგის ფორუმზე და აქაც გამოსცეს თქვენი წიგნი...

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიცინ ტაბიძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ნარეკაცი (სომხეთი), საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს პროფკავშირების პრემიები. ახლახან მოგენიჭათ ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემია!..

ბატონო ბალათერ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს თანამედროვე ქართული პოეზიის ღირსეულ წარმომადგენელს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ საქართველოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ბალათერ!

მანანა გორგიშვილს რომ არ ეთქვა, სარედაქციო საბჭოს სხდომაზე, ვერ გავიგებდით, რომ 70 შეგისრულდა. შენ, ბრწყინვალე პოეტს, ბალათერ არაბულს, რომელსაც შეგიძლია ასე ლაღად და უშურველად გასცე სიყვარული არა მარტო თანამოკალმეთა, არამედ მთელი საქართველოს მიმართ, არასოდეს შენთვის არაფერი მოგიტხოვია. ყველას გვაღვეს, ძმაო, შენი ვალი, შენ კი არავისი ვალი არა გაქვს. აფერუმ, შენს ვაჟკაცობას. ნამდვილი ხევსური ხარ, შენთა წინაპართა ღირსეული შთამომავალი. რა კარგად უვლი, ჩემო ბალათერ, შენს საქართველოს, რა თავგანწირულად დგახარ და როგორც ერთგული მეციხოვნე, დარაჯობ შენი სამშობლოს ძილ-ღვიძილს. მაგრამ ჰაი-ჰაი, რომ ჩვენი თაობა უძლეური აღმოჩნდა მტაცებელი თეთრი დათვისთვის ჩვენი სამაჩაბლო და აფხაზეთი გამოგვეგლიჯა. რას ვიზამთ, ასე ტურზე კბენით პირმოკუმული და მუშტებშეკრული უნდა დაველოდოთ უკეთეს დროს. და მერე ერთად დავიძახოთ - „ჰკა, მაგას!“

რამდენჯერაც წავიკითხავ შენს ტკივილიან ლექსს შენს მშობლიურ სოფელ მანმაოზე, გულში ცრემლი მეღვრება. ეს თანალმობის, სიყვარულის და ძმობის ცრემლია, ჩემო ბალათერ.

გილოცავ 70-ს, რომელიც მე კარგა ხანია გამოვიარე და სამიში სრულიადაც არ არის.

მაგრად დექ!

რევაზ მიშველაძე

შიღრა . . .

ვიდრე დაგვიფენს ბედი გზაზე მწარე ნარ- ეკალს და ვიდრე ჩვენთვის გამგზავრების ზარი დარეკავს...

ვიდრე სანუთროს გვილამაზებს კვლავ მზე ნათელი, ვიდრე ვილაცას ვავგონდებით და ვენატრებით...

ვიდრე გადუვლის უკუნეთი დროს უნეტარესს, მოვეფეროთ და გა ვ უ ფ რ თ ხ ი ლ დ ე თ უნდა ერთმანეთს!..

ვიდრე ვილაცას ვუყვარვართ და ვილაცა გვიყვარს, ვიდრე ქცეულა ვარდ-ყვავილი ნარად და დიყად...

ვიდრე მნათობი დილის პირზე ჩვენთვის ამოდის და ვიდრე ჩვენთვის მთვარეს იბნევს ცა, საღამოთი...

ვიდრე აქა ვართ და შორია კიდევ ლეთამდე, მოვეფეროთ და გა ვ უ ფ რ თ ხ ი ლ დ ე თ უნდა ერთმანეთს!..

სხვსურული მოტივებიდან

... შავ დარდით შავნი ღრუბელნი მოდგეს შუაფხოს თავზედა, საავდროდ დაკიდებულნი უძილაურთის მთაზედა... მოდგეს ორწყალში შავ ნისლიც, - შამახვეულნი ქარზედა, კლდე- ღრუზე შამამავალნი, - დევ- ეშმაკების კვალზედა, დღემუდამ შამაჩვეულნი აკუშურაის წყალზედა, მანდ მდგომნი, მანდ მატირალნი, მანდ მწოლნი დილის ცვარზედა, სულ ჯავრის მატარებელნი, სულ ცრემლმომდგარნი თვალზედა...
... შავ დარდით შავნი ღრუბელნი მოდგეს შუაფხოს თავზედა...

შამოდგომა (ეტიუდი)

მიღეული მზე ელავს ცის თაღზე, სივრცეს აცვია ნისლის არილი და შემოდგომის დაცლილი ბალი დგას გაძარცული დედოფალივით...

ხეები ჰგვანან ხელებაშვერილ მლოცველებს, ქცეულთ უცხო დარდებად და მოსდებიან ჭალებს შაშვები საღამოს ბინდის შესამატებლად...

და დუმს მინდორი, სად მოსისინე ქარი ბინადრობს ახლა მარტოდენ და სადაც მხოლოდ თივის ზვინები უკვე შეცივებულ მინას ათბობენ...

... მიღეული მზე ელავს ცის თაღზე, სივრცეს აცვია ნისლის არილი და შემოდგომის დაცლილი ბალი დგას გაძარცული დედოფალივით...

დათო ჯანაშია

საყვედურის გაიმ

„... დამრჩა სინანულის გრძობა, რომ დავით ჯანაშიამ თავისი ნიჭი ადრინდელი წლებიდან პოეზიას სრულად არ მოახმარა. „ პროფესორი სოსო სიგუა ნინასიტყვაობა ნიგნიდან- „დამფრთხალი წლები“.

ბრძენო, კეთილო, ჭარმაგო ბიძავ, სიცოცხლეს, როგორც მკაცრ სასჯელს ვიხდი, თქვენს დარიგებებს თრთოლვით ავკინძავ და სამაგიდო ნიგნად გავიხდი. მყავდა კი ვინმე ჭირმოზიარე, ღამემ რომ ბინდი გადამაფარა, რა სისხლიანი გზებით ვიარე, განცდის, ტკივილის, თალხის ამარა. ვეხსნები მითებს, არაკებს, მისნებს, მიყვები ბილიკს ავად თუ კარგად, სად შემიძლია ვებრძილო მიზნებს, რომ სიჭაბუკე გავილე ხარკად. ვერ მივუთვალე ბელზებელს ღალა, სატანას მარდად ხმლით გადავუხტი, მე სიჭაბუკე გარდამეცვალა, რომელსაც ახლა პანაშვიდს ვუხდით. დამეცა დელგმა დაისის ფერის, მას შემდეგ ღიმი არ მეკარება, მე მაშინ ვნახე დაცემა ერის, ვიხილე ერის გადაგვარება. ან რატომ გიკვირთ, ანმყოს ვემდური, ვერ დავაწყნარე სული ქაცვია, ის წლები, მართლაც ვოჯოხეთური, ჩემს სიჭარმაგვს ძაძად აცვია. ვერ შევძლებ ანი დარდის ნათლობას, დამემდურება განა სოფელი, თანადგომისთვის გიხდით მადლობას, თავმდაბლობისთვის ვარ მადლობელი. არ უშუშდება სიზმრებს იარა, ისევე არ ცხრება ბედის ანცობა, მარტო ნიჭი და წლები კი არა, ლექსით დავლოცე თქვენი კაცობა. განა გაგებრადი?! თქვენს რჩევებს ველი, ყვითელი ფერი შევდებოთ მწარედ, გამომინოდეთ საშველად ხელი, ამ ქარაფიდან ამომიყვანეთ. იაგუნდების ფერი ხუნდება, სულის ჭრილობა ვიგრძენი გვიან, არა, წარსული არ დაბრუნდება, წარსულს ჯიუტად წარსული ჰქვია. სევდა ტკივილის განსჯას უნდება, ვეკამათები ფიქრებს ამაზე, არა, წარსული არ დაბრუნდება, როგორც ბავშვობა და სილამაზე. იმ ტკივილების განსჯა რთულია, ღირს კი წარსულზე განსჯა, განგაში, ის წლები განა დაკარგულია, ის წლები ჩვენთან იდგნენ სანგარში. მათ არ იცოდნენ განცდა და შიში, როგორ მოვედით აქამდე მიკვირს, ის წლები მახლდნენ ქარში, შიმშილში, ის წლები ჩემთან ებრძოდნენ შიმშილს. ის წლები შლიდნენ ეპოქის მახეს, დასთამაშებდათ შუქი კეთილი, ტკივილი ნახეს, ცრემლები ნახეს, ნახეს იმედი, ქარს მიხვრეტილი. კვლავ ტკივილების განსჯას ვუნდები, სისხლი აცხიათ ნავარდალ ველებს, სულზე დაგვადეს მძიმე ხუნდები, შემდეგ სამშობლო გადაგვითელეს. ეშმაკს ნუთითაც არ დაეხანა, ეშმაკი მზაკვრულ არაკებს მოყვა, გადატრიალდა თითქოს ქვეყანა, როცა მამული დოლაბში მოჰყვა. რა უნდა მეთქვა ან რა მეხარა, ძეძვი ფარავდა ვენახს და ყანას,

ცხედრების გროვა გზებზე ეყარა, უჩერდებოდა გული ქვეყანას. ტკივილის კვილს ვინ გაიგონებს, დაგვხარხარებდა სიკვდილი თავზე, ტყვია ფლითავდა მუზას, სტრიქონებს და უსაფლავოდ ტოვებდა გზაზე. ბატონო სოსო, ის წლები მენდე, კვლავ მამჩნევია, როგორც იარა, სიკვდილს თვალეში ბევრჯერ ჩაეხედე, მაგრამ დამინდო და ჩამიარა. ქარიშხალს გაჰყვა მზე, იდილია, იმ სევდამ ღამის გული გამიყოს, ცას შევებლოდი, ქართლის ჭირია გურამიშვილის სევდის არ იყოს. მლაშე ცრემლებმა მინამეს სახე, ცრემლს არ მოსწყინდა ღანვების რეცხვა, როცა დაჭრილი მამული ვნახე, წარსულის, ანმყოს, მომავლის შემრცხვა. გადაგვარებაც, დაცემაც ვნახე, ვნახე ფლიდის და ეშმაკის მზერა, „ ნუ ატინგიციდი „ როცა შევძახე, გული ტკივილმა გადამისერა. როცა მოდუნდა ქართული გენი, შემოგვესია როცა ჭილყავი, როდესაც სისხლის გემო ვიგრძენი, თუ დამიჯერებთ, მკვდარი ვიყავი. დაჭრილი გულით, დაჭრილი ფრთებით, სად შემიძლია იმედს მივდიო, როცა ვიყვირე „ დავილუპებით „ ნამომადახეს „ კომუნისტიო.“ ძარღვებში სისხლი სირცხვილად მივლის, თუმცა სუფრაზე კაცობა ვლოცეთ, წარბშეუხრელად ვესროლეთ თბილისს, მოურიდებლად ერთურთი ვბოცეთ. წარმტაცა ნისლმა იმედი მცირე, ჩამიდულაბდა ტკივილი ხმაში, „ ფურთხის ღირსი ხარ..“ როცა შევყვირე, თუ დამიჯერებთ, მე მოგვედი მაშინ. ტკივილი დამრჩა გასარიყავი, დამიდნა გული, ვით ცხელი რკინა, რას ვფაფხურობდი, მე ვინ ვიყავი, ერმა უწმინდესს არ მოუსმინა. პირჯვრის სანერად ვმართავდი თითებს, სამყაროს ტკივილს იტევდა მკერდი, გულს სამაჩაბლო როცა მოწყვიტეს, როცა მოგლიჯეს გულს აფხაზეთი. საქვეყნო საქმე, ბრიყვთა განსჯილი, ახლაც ყელში აქვს მამულს გაჩრილი. მე სამეგრელო ვნახე დასჯილი, მე საქართველო ვნახე დაჭრილი. ჩამომიბერა ტკივილმა სახე, მინა დავნამე ცრემლებით ცხელით, მე საქართველო დაჭრილი ვნახე, დაჭრილი ვნახე ქართველის ხელით. მამულის ტკივილს თავზე ვეველები, თვით წინაგრძობაც რა ვქნა, ავია, „დამფრთხალი წლები“, „ სიზმრის ცრემლები,“ მხოლოდ და მხოლოდ სამდურავია. მე განა ჩემსას, სხვის ტკივილს ვმდერი, შემოდის ღამე მუქი შიშებით, მე დაკარგული თაობის გერი, ვდგავარ თავდახრით, გებოდიშებით. კომმარულ სიზმარს წარსული მოჰგავს, ვუნყრები წარსულს ჭალარა ბავშვი, და ისე, როგორც გარსია ლორკას, მიმახვრეტს ანმყო ფორთოხლის ბაღში. მიძიმებს ბეჭებს სიზიფეს ლოდი, ცუდად დამთავრდა ბედთან თამაში, სანთლების შუქზე ხშირად ვფიქრობდი, ღირდა კი მოსვლა ამ ქვეყანაში. ამდენი ჯვარცმა როცა მაჩვენე, როცა მიზნამდე ისევე შორია, „წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.“ რას მომცემს ლექსი ცრემლებად ვღვარო, მძიძგოს ტკივილმა, ცხადმა, ფარულმა, შთამომავლობას რა დაფუბარო, გულდანყვეტილმა, ხელმოცარულმა. კვლავ ბელზებელის დაგვადეს აჩრდილი, წლები თრთვილავენ ატმებს და ნუშებს,

მამული ჩემი მკერდში დაჭრილი, იმ დიდ ჭრილობებს ახლაც იშუშებს. იდეალებზე ვის ვესაუბრო, ცრემლი ასხიათ მეჯლისში ჭიქებს, სულის ჭრილობა მძაფრდება უფრო, როცა პირქუში ანმყო ვერ მიგებს. ვერ გავარკვიე, ვის ვემსახურე, ცას რომ არ ესმის მამულის ოხვრა, დღეს უფრო ფასობს კაცის საყურე, ვიდრე დიდგორზე მუხლების მოყრა. შეყინული აქვს ლოცვები ბაგეს, ცას შერევიან ღრუბელი რუხი, ამ ჯოჯოხეთზე პასუხს ვინ აგებს, შეშლილი ანმყო, მითხარ პასუხი. წყეული ანმყო ქალამნად მიცვამს, წლებიც საეჭვო გზებით მიდიან, ფარსადანები საფლავის მინას, ოცდაათ ვერცხლად გაგვიყიდიან. ვერ შევაჩვიე თვალეში უკუნს, ღამის იმედმაც შეწყვიტა ფეთქვა, რა დაემართა ნეტავი ლუხუმს, ლაშარის გორზე რატომ არ შედგა? ზეცის საყვედურს გააგმხელთ მაინც, გზას ვერ გავიგნებთ ღრუბლის დახურვით, მოვთხოვთ „ ვოჟობას „ გათხოვილ რაინდს, მოყვლეყლავს პომად-საყურით. განა მოშუშდა ძველი იარა, სანამ მამძიმებს დღე ორიოდ, ბატონო სოსო, ლექსებს კი არა, მცხეთის კარს ლაშქრულს უნდა ვკიოდე. მაგრამ დამდგარა ცუდი ამინდი, საყურე ამკობს გათხოვილ ანმყოს, არც ვახტანგი ჩანს და არც დავითი, ხმალი ილოს და ერს უწინამძღვროს. ეჭვს ჩამოგვიდებ გრიგალზე ბარგად, მოლოდინს ნკვირტს წამოგვკრავ მწარედ, ვაი თუ საქმე გვგონია კარგად, ვაი თუ მართლა ძილს მივცაღეთ. ფერშეცვლილები ფარჩით და ვერცხლით, ვაი თუ წელში გადავტყდით მწარედ, ან როგორც გუშინ, ვაი თუ შევცდით და საქართველო ქარს გავატანეთ. ის რომ ცოდვილ გულს ინახავს მკერდი, ის, რომ სამშობლო ჩემი ხატია, ის, რომ მამულზე მუხლმოყრით ვწერდი, წყეულმა ანმყო არ მაჰატია. ახლაც თვალს ნამავს ცრემლები ხშირი, ქარში, ტალღებში ბზრიალებს გემი, „საით მამულო“-მე ახლაც ვყვირი, ცოტას თუ ესმის ძახილი ჩემი. ქარს მიაქვს ბინდი ცრემლებით სავსე, შევცქერი ბედელს სავსეს ვირთხებით, რამ შეგაძულათ სამშობლო ასე, ვაიქართველნო, თქვენ გეკითხებით. ჩანს დავაკელი ლოცვას მცდელობა, და ვერც შევძელი ბედთან თამაში, გათხოვთ მაჰატიოთ მე ქართველობა და დაბადება ამ ქვეყანაში. მამულზე ლოცვით გრიგალს გავდიე, ხატებს კელაპტრად ავუნთებ სიტყვას, ჩემო სამშობლოვ, შენ მაჰატიე, ლექსი რაც ვთქვი და რაც აღარ მითქვამს. ქარში, კარტივით გაეშალე დარდი, ქარს შევურიე ცრემლები წმინდა, შენ, ერო ჩემო, თუ გადაგვარდი, მლანძლე და მთათხე, რამდენიც გინდა. ბატონო სოსო, ცრემლი ნისიად, ავილე ცისგან, ანმყოს ვემდური, გათხოვთ მაჰატიოთ, თუ შეგიძლიათ, ეს აღსარება და საყვედური.


ნახმლევი

ეპილოგი პოემიდან - სევდის გოდება
ცა სიზმარს უხსნის მოწყენილ ლოდინს, ქარმა ღრუბელი ხეებს ამთხვია, გზაზე წარსული ყავარჯნით მოდის, შუბლზე ნახმლევი ხაზად ატყვია.

დრო ისტორიას ტკივილებს ათლის, ჭმუნვამ ჩამასო სულში ნექტარი, მზეზე ჰკიდა კვლავ ბედი ქართლის, ვიტ ციხის ქავეზე სველი ბექთარი. ხატთან ლოცვად მდგარს ღამით და დღისით, ცრემლის ლოდებით კოშკი მიგია, რად დავისაჯეთ ნეტავ კრწანისით?! ვფიქრობ და დღემდე ვერ გამიგია. დავცხრი, მომბეზრდა ლექსით გართობა, მაგრამ წარსულის დავრჩი განმსჯელი, რა იყო? ჩვენი ბედოვლაობა თუ უმკაცრესი ღვთის განაჩენი. მირეცხავს თვალებს ცრემლი დაძრული, დარდებს იდებენ მხრებზე ქედები, როგორც ერეკლე გულდაკანრული, ლაბირინთებში დავეხეტები. დრო თავისი გზით ტაატით მიდის, დროზე ნაღველი ცრემლად ჰკიდა, წარსული ცრემლებს ნისიად ჰყიდის, ყიდის და ვედარ გაუყიდა. არ ვიცო, გზაზე რა მელოდება, ნასისხლარ ბილიკს მივყვები ფრთხილი, ჩამესმის მწარედ სევდის გოდება, კრწანისმა ისევე გამიფრთხო ძილი. წარსულის მოთქმას სინანულს ვადრი, უთავოდ რომ დგას, ჩემი ტანია, ყელი, სპარსელის გამონალადრი, ანმყომდე თრთოლვით მომიტანია. ქარიშხალს ლაგამს ამოვდებ მარჯვედ, თუმცა ღიმილი ვედარ მიხსნია, შევცოდეთ რამე? რად დავისაჯეთ, ვფიქრობ და დღემდე ვერ ამიხსნია. დაჭრილი მხრებით ღიმილი დამყავს, წლებმა ტკივილი ვერ დამიამეს, როგორც ერეკლე ალა მაჰმად ხანს, მახვილს ვულერებ კრწანისის ღამეს. სველ სტრიქონებში განვბანე შიში, თრთოლვით გავყურებ ნაცნობ სანახებს, მე სპარსელებმა მომკლეს კრწანისში, შავსოფლელებმა მე არ დამმარხეს. განა რითმებით, ბოლმით ავავსე, ეს სტრიქონი და განვბანე შიში, განა ქსანზე და განა არაგვეზე, მე სპარსელებმა მომკლეს კრწანისში. ვერ ვუმიკლავდები ტკივილს ნალალებს, სისხლით დამთხვრალმა წლებმა გამწირეს, შავსოფლელებმა რომ არ დამმარხეს, ძვლები ყორნებმა გაინანოლეს. სული ტკივილმა ისევე დაგლისა, წარსულის ოხვრა ბოლმას მახსენებს, ხმლით დაჩეხილი ბედი ქართლისა, თვით სამარეშიც არ მომასვენებს. ვით ადრე, კვლავ ვარ მთქმელი ამისი, ვერ დავურჩები წარსულს მდუმარი, დააჩნდა ქართულ მინას კრწანისი, ვით სპას ნახმლევი და ნაშუბარი.

დედა მღუშარა

ნუ შემობრალეხთ დღეებო, გვედრით, ჩამიდულაბეთ ტკივილი ხმაში, მიცურავს კუბო ძვირფასი ცხედრით, მიცურავს კუბო ცრემლების ზღვაში. მიკოცნის ტკივილს ფერმკრთალი მთვარე, მიძაფრებს განცდას ხეების ტაში, კუბოში მინევს დედა მღუშარე, მიცურავს კუბო ვარდების ზღვაში. ელვა ჩემს ტკივილს სურათებს უღებს, დაისმა წვიმით გაილო ხარჯი, დედას ტკივილი არ შეანუხებს, დამვიდებია სახე ნატანჯი. მე და ღუმილი კაემნით ვთვრებით, უხმო ლოცვებით დაისს ვაოცებ და მიმაქვს კუბო საკუთარ მხრებით, დინჯად მივიდვარ სასაფლაოზე.



მურმან თავდიშვილი - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მურმან მელიტონის ძე თავდიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო მურმან!

ჩვენო ძვირფასო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული მწერლობისა და მეცნიერების გამორჩეულად კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ლიტერატურულ ასპარეზზე 1971 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი წერილი „ვის ეძღვნება გრიგოლ ორბელიანის ლექსი „გამოსალმება“. თქვენმა პირველმა ნაბიჯებმა მწერლობასა თუ მეცნიერებაში ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ თქვენი სახით უკომპრომისო, მაძიებელი სულის მქონე უაღრესად ერუდირებული და ფართო თვალსაზრისის მქონე შემოქმედი შეემატა საქართველოს. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - რომანები, მხატვრული თარგმანები, მონოგრაფიები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რეცენზიები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია თქვენმა ისეთმა რომანებმა, როგორცაა „კეისარი“, „მშვენიერი გეიშა“, „რეპეტიტორი“, „ფირდოუსი“...

თქვენი კრიტიკული წერილებისა თუ ესეების კრებულები „ესეები“, „ესეისტური მედალიონები“, „კრიტიკული წერილები“, „ენობრივი და პოეტური მკრეხელობანი“ მართლაც რომ დახვეწილი გემოვნებით, თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების სიღრმისეული გააზრებით გამოირჩევა.

თქვენი სახით ქართულ მეცნიერებას უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო მკვლევარი ჰყავს. საგულისხმოა, რომ ქართული მწერლობის საკვანძო,

კარდინალურ პრობლემატიკას ეძღვნება თქვენი როგორც საკანდიდატო („ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი პროცესი“ - 1979 წ.), ისე სადოქტორო („ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები (60 ახალი სტროფი) - 2004 წ.), დისერტაციები.

ახალისული, ახალისუნთქვაშესძინეთ რუსთველოლოგიას. სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ ეძღვნება თქვენი არაერთი მონოგრაფია („ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საიდუმლოებანი“, „ფირდოუსი და რუსთველი“, „ნიზამი და რუსთველი“). მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ამ გამოკვლევების ბაზაზე დღის სინათლე იხილა თქვენეული რედაქციით გამოცემულმა „ვეფხისტყაოსანმა“.

მკითხველი უდავოდ დააინტერესა თქვენმა წიგნებმა ქართული მწერლობის ისეთ უთვალსაზრისო წარმომადგენლებზე, როგორც არიან რევაზ მიშველაძე და სოსო სიგუა („წერილები ცოცხალ კლასიკოსზე“, „სოსო სიგუა-ფილოლოგი და კულტუროლოგი“).

დიდი გამოხმაურება მოჰყვა თქვენს მონოგრაფიას „დიდი როქი ქართული ლიტერატურაში“, აგრეთვე გამოკვლევას „ღვინო, ვენახი, ვაზი“, რომელსაც გვერდი ვერ აუარეს რუსულმა გამოცემებმაც კი.

ქართულად თარგმნეთ ანა დრანსეს „შამილის ტყვე ქალები“, რომელმაც არაერთ გამოცემას გაუძლო.

მრავალ ქართულ წიგნს ატყვია თქვენი, როგორც კომპეტენტური და მადლიანი რედაქტორის ხელი.

სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „სახალხო განათლების“ სტილისტად, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ განყოფილების გამგედ. თსუ კრიტიკის ისტორიის კვლევითი ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ნოდარ დუმბაძის სახელობის უნივერსიტეტის, კავკასიის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორად, „მწერლის გაზეთის“ განყოფილების გამგედ; არჩეული იყავით მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად. ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი მთელ ძალასა და ენერგიას ქართული ახალგაზრდობის სულიერ ფორმირებას ახმართ.

დაჯილდოებული ხართ დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძის, პავლე ინგოროყვას სახელობის პრემიებით. თბილისის მერიამ განათლებასა და კულტურაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ოქროს მედლით დაგაჯილდოვათ.

ბატონო მურმან!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს გამოჩენილ შემოქმედსა და ერისკაცს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბურჯი ბურჯთაბანი

დილით ფეხაკრფით გამოდის იგი სახლიდან თავისი დიდი განუყრელი ჩანით.

შინაურები კარგახანია აღარ ეკითხებიან, საით მიეჩქარება.

ეს კობტად ჩასხმული, საშუალო ტანის, მკვირცხლთვალეა კაცი მიდის იქ, სადაც გული ყველაზე მეტად მიუნევს. მისი წისქვილებია საჯარო ბიბლიოთეკა და უნივერსიტეტი.

მურმან თავდიშვილს თუ ვინმეს შევადარებდი უახლოესი წარსულიდან, მხოლოდ და მხოლოდ პავლე ინგოროყვას. ხოლო შორეული წარსულიდან იმ წმინდა ბერებს სინას მთაზე, საბანძინდის ლავრაში თუ გარეჯის უდაბნოში რომ უსხდნენ ფოლიანტებს და ბიბლიას თარგმნიდნენ, ან საგალობლებს წერდნენ.

იგი თანამედროვე ქართული მწერლობის ბურჯთაბანია, აღიარებული მეცნიერი და ლიტერატურისმცოდნე - კრიტიკოსი.

დიდზე დიდი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსანს“.

ლამის ორმოცდაათი წელი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საშურს საქმეს შეაღია.

სამოცამდე „დაფანტული სტროფი“ დაუბრუნა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას და აი, შედეგად:

დღეს არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული, ჭავჭავაძისეული, ქართველიშვილისეული, ინგოროყვასეული, ბარამიძისეული და თავდიშვილისეული გამოცემები.

სრული პასუხისმგებლობით უნდა ვთქვა, რომ ამ გამოცემათა შორის ყველაზე სრული და რუსთაველის ტექსტთან მიახლოებული მურმან თავდიშვილისეული გამოცემა.

ამით ბატონი მურმანი სამუდამოდ შევიდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ვეფხისტყაოსანია მურმან თავდიშვილის მთავარი საზრუნავი და, როგორც მეცნიერი, ნიადაგ ამ უკვდავ პოემას დასტრიალებს.

„ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“, „ფირდოუსი და რუსთაველი“, „რუსთაველი და ნიზამი განჯელი“... აი, ბოლო წლებში გამოცემული მისი წიგნების სათაურები.

ამასთან ერთად პროფესორი მურმან თავდიშვილი აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ობიექტური, მოუსყიდველი კრიტიკოსი და მახვილსიტყვიანი პოლემისტი.

შეუმჩნეველი არ დარჩება არცერთი ღირებული ლიტერატურული სიახლე.

არ შეეშლება ნიჭიერის გამოქომაგება, ხოლო თავგასულ უნიჭოებს შიშის ზარს სცემს მისი ბასრი კალამი.

ბევრმა არ იცის, რომ მურმან თავდიშვილი ფრიად წარმატებული პრო-

ზაიკოსიც გახლავთ. მისმა რომანებმა (განსაკუთრებით „კეისარმა“) გამოქვეყნებისთანავე მკითხველის ყურადღება მიიპყრო და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

მეამაყება, რომ სახელოვანი მურმან თავდიშვილი ჩემი უღალატო მეგობარია.

სიჭარმაგის ასაკს ვულოცავ დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძის და პავლე ინგოროყვას პრემიების ლაურეატს, პროფესორ მურმან თავდიშვილს.

რევაზ მიშველაძე

ოცნების აღსრულება

ჩვენს დღევანდელ იუბილარს მურმან თავდიშვილს ეკუთვნის მრავალი შესანიშნავი ნაშრომი - გამოკვლევები, რომანები, კრიტიკული წერილები, მონოგრაფიები.

იგი 30 წელზე მეტია სწავლობს „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკას, ტექსტს, მიმართებას აღმოსავლურ კულტურასთან, კერძოდ - ფირდოუსთან და ნიზამი განჯელთან.

მან ამ სფეროში დაგროვილი დიდი თეორიული ცოდნის მხატვრული გარდასახვაც შეძლო და დაწერა ჩინებული ბიოგრაფიული რომანი „ფირდოუსი“.

ეს წიგნი შარშან გამოიცა.

ფირდოუსის „შაჰნამეს“ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ, თარგმნიდნენ ცალკეულ ნაწილებს (მაგ. „როსტომიანი“), მისი პერსონაჟების სახელებს არქმევდნენ შვილებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს დიდი და ვრცელი პოეტური ეპოსი მთლიანად მხოლოდ XXI საუკუნეში ითარგმნა.

ეს გააკეთა ბელა შალვაშვილმა.

ჩვენი პოეტები და ერისკაცები აღფრთოვანებულნი იყვნენ ფირდოუსის გმირებით. მაგრამ არავინ დაინტერესებულა მისი ცხოვრებით.

და აი, XXI საუკუნეში მურმან თავდიშვილმა გამოაქვეყნა ბიოგრაფიული რომანი ამ დიდ პოეტზე.

მრავალი საუკუნის შემდეგ გასრულდა წინაპართა ოცნება - გვაქვს „შაჰნამეს“ თარგმანი, მონოგრაფია, ბიოგრაფიული რომანი, რომელიც დაწერილია დიდი ცოდნით, მხატვრული ოსტატობით, კოლორიტის დაცვით, ნათელი სტილით.

ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას მურმანს, ჩემს თანაკურსელს, დიდხანს შეენარჩუნებინოს შემოქმედებითი ენერჯია ქართული კულტურის სასიკეთოდ.

სოსო სიგუა

პოეზია უპირველეს ყოვლისა

„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“ - კითხვობდა გალაკტიონი და კითხვას თავად სცემდა პასუხს, რომ საქართველო პოეზიამ გადაარჩია.

სწორედ ტიცინისა და გალაკტიონის ინიციატივით 1920 წელს მწერალთა კავშირის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, 7 მაისი პოეზიის დღედ დაწესებულიყო. გალაკტიონ ტაბიძემ ჰიმნი დაწერა პოეზიაზე, დიმიტრი არაყიშვილმა კი - მუსიკა. ეს დღე საქართველოს ყველა კუთხეში იზიჰიმეს.

დღესასწაული 1924 წლამდე გაგრძელდა, შემდეგ კი კომუნისტებმა აკრძალეს, როგორც ყველაზე ეროვნული დღესასწაული. პოეზიის დღისთვის გაზეთიც გამოდიოდა სახელწოდებით „პოეზიის დღე“.

70-იან წლებში რამდენჯერმე გამოიცა ალმანახი „პოეზიის დღე“, მაგრამ ვერც მან დაიმკვიდრა ადგილი.

პოეზიის დღე საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით 2007 წელს აღდგა და მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნებოდა. წელს კი გადამწყვეტილი იყო, რომ 7 მაისიდან 14 მაისამდე ჩატარებულიყო მსოფლიო პოეზიის ფესტივალი, სადაც ინგლისიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ჩინეთიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილე იყვნენ ცნობილი მწერლები.

ფესტივალი პოეზიის დღის დაარსების 100 წლისთავს ეძღვნებოდა.

მსოფლიოში შექმნილი ეპიდეიოთარების გამო, ღონისძიება დროშიც შეიცვალა და შინაარსითაც. სწორედ ამ ფესტივალის ფარგლებში გამოიცა: 1. ორტომეული - ქართული პოეზიის ანთოლოგია, სადაც ცნობილი ქართველი პოეტების თითო შედევი შევიდა (პროექტის ავტორი და შემდგენელი ზაალ ბოტკოველი), 2. „ბაღადა ვეფხისა და მოყმისა“ მსოფლიოს 17 ენაზე, (იდეის ავტორი ნომადი ბართაია, რედაქტორი მაცყალა), 3. ზეზვა მედულაშვილის საიუბილეო კრებული (რედაქტორი ზაალ ბოტკოველი, შემდგენლები კამილა, ნიკოლოზ, ზურაბ მედულაშვილები).

პირველი ლიტერატურული ფესტივალი საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიის თანადგომით გაიმართა.



პირველი ღონისძიება იმერეთში, 25 სექტემბერს, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა და მწერლის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „ოტია იოსელიანის 10 მცნება“ (რეჟისორი გიორგი კახაბრიშვილი, სცენარის ავტორი მაცყალა გონაშვილი).

ფესტივალის ერთ-ერთი დაუფინყარი დღე მწერალთა სახლის ეზოში გაიმართა, სადაც დაჯილდოვდნენ წლის რჩეული იუბილარები.

დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ფესტივალის გრან-პრი რომანისათვის „ქრისტე“ გადაეცა რევაზ მიშველაძეს, წლის რჩეული კალმოსნის ნოდება მიენიჭათ აკაკი ბრეგაძესა და ბადრი ქუთათელაძეს, ქართული კულტურის რაინდის ნოდება - ნუგზარ წერეთელსა და გოგი წერეთელს, ხოლო სიკეთის რაინდის ნოდება - ბიზნესმენ გურამ ახრახაძეს, გალაკტიონ ტაბიძის პრემია - ტარიელ ხარხელაურს, გოგლა ლეონიძის პრემიებით დაჯილდოვდნენ: ეთერ ზარიძე, ია სულაბერიძე, ქეთევან შენგელია; ილია ჭავჭავაძის პრემიით კი - ავთანდილ ბერიძე, ბათუ დანელია და ზაალ ბოტკოველი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სწორედ წელს დაწესდა პირველად ბრწყინვალე მთარგმნელების ჯემალ აჯიაშვილის და ზაზვა მედულაშვილის სახელობის პრემიები მთარგმნელობით ხელოვნებაში. აჯიაშვილის პრემია გადაეცათ: გივი შახნაზარს, ბელა შალვაშვილს, ცისანა ანთაძეს, მანანა ანთაძეს, ბალათერ არაბულს, ერეკლე სალიანს, მარინე ცხვედიაშვილსა და ბადრი თევზაძეს. ზეზვა მედულაშვილის პრემია გადაეცა ალექსანდრე ელერდაშვილს.

შიო მღვიმელის პრემია მიენიჭათ: ლეილა ხინთიბიძეს და უცხოეთში მცხოვრებ პოეტს მაცყალა მესხაძეს.

1. აფხაზეთის კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად ქართული კულტურის ამაგდარის ნოდებით დააჯილდოვა ნუგზარ მეგალობლიშვილი და 12 აფხაზეთიდან დევნილი რჩეული ქალბატონი - ლიანა მიქაშაიძე, ია მასიაია, ნაირა მარშანია, ლეილა ბაღაია, ნანა ჭანტურია, მადონა დვალი, აზა ბასლანძე, მზია აკობია, სალომე კაპანაძე, ჯულიეტა პაკელიანი, ნატო კორსანტია და ნატო მარშანია.

სალამოს ესწრებოდა ქ. თბილისის ვიცემერი ანდრია ბასილაია, აფხაზეთის კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, მინისტრის მოადგილეები ირმა კეკელიძე, მარინე შენგელია, ცნობილი ქართველი ხელოვნები და საზოგადო მოღვაწენი.

ფესტივალის ბოლო დღე გაიმართა წყნეთში, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში. „სიყვარულს უშენებია“ - ასე ერქვა კონკურსს, რომელშიც მონაწილეობა 17-დან 35 წლამდე ახალგაზრდებმა მიიღეს. გამარჯვებულნი 7 გამარჯვებული: როინ აბუსელიძე, სულხან წულუკიძე, ბექა ახალაია, ოთო ფალიანი, ქეთევან ნათელაძე, ივდითი კვიციანი და ამირან ჯანჯღავა.

მალე ქართველი მკითხველი მიიღებს კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა მწერლების ანთოლოგიას.

იმედია მომავალ წელს სამყაროში იქნება მშვიდობა და ჩატარდება ფესტივალი, სადაც საქართველო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წევრს უმასპინძლებს.

ფესტივალის ორგანიზებასა და მხატვრულ გაფორმებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მარეზ კეზუამ და ვანო კეზუამ.

ფესტივალი ყოველწლიურად ჩატარდება და ხელს შეუწყობს ქართული მწერლობის პოპულარიზაციას მსოფლიოში.

მანანა გორგიშვილი

თინა ქეჟია

სიზღარა მაისის ბაღზე

დიახაც, უნდა ვუმღერო მაისის ბაღს, რადგან მთელი ბავშვობა მის ულამაზეს და საოცარ ტოტებზე მაქვს გატარებული. ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ის ჩვეულებრივი იყო, არამც და არამც... ის სრულიად და აბსოლუტურად განსხვავდებოდა ყველა ხისგან, რაც კი ჩემს ეზოში იდგა და რაც გარშემო სამეზობლოს ეზოებში ხეები ხარობდნენ... ჰო, ხეებზე ხომ ასე ვამბობთ ხოლმე. მე კი ვიტყვოდი, რომ ისინი ჩვენთან ერთად ცხოვრობენ და ხარობენ.

ჩემს ბაღს ოთხი დიდი ტოტი გვერდ-გვერდ, ხიდეებით ჰქონდა გაშლილი. შუა ადგილას კი ისე ვჯდებოდი, თითქოს სავარძელიაო. გაზაფხულზე, მარტის ბოლოს ისე გადაიფიფქებოდა, შორიდან დათოვლილი გეგონებოდათ. აყვავებული ბღის დანახვაზე ისეთი სიხარული მეძალეებოდა, ჩუმად ავძვრებოდი და ვუსმენდი თეთრ, უმშვენიერეს ყვავილებზე როგორ დაუღალავად ფუსფუსებდნენ



და შრომობდნენ რუხი, ბუთქუნა ფუტკრები. მიჰქონდათ ტკბილი ნექტარი და სკებს ავსებდნენ ძვირფასი თაფლით. მერე მწიფდებოდა ჩემი ბალი, ლოყები აუფარდისფერდებოდა, მე ისევე მასთან ვიყავი. ჰო, ჩემს ბაღზე ვიჯექი და ხშირად იქ ვკითხულობდი წიგნებს. უფრო ადრე ზღაპრების ატანა მიყვარდა, მერე კი, უკვე მეხუთეკლასელს იქვე ჩამეძინა და თქვენ წარმოიდგინეთ, უზრუნველად მოთავსებული და თავქვემ „ტომ სოიერის“ თავგასავალამოდებული მიპოვეს. როცა ცალი თვალი გავახილე, ბებია დავინახე, რომელიც ვინ იცის, ალბათ მეასეჯერ იწერდა პირფარას, ხოლო მეორე თვალის გახელას აზრი არ ჰქონდა, რადგან დედაჩემის შიშისაგან აკანკალებულ ხმას მისი გადაფითრებული სახეც დაემატებოდა და ამას კი ჩემი ტირილი მოჰყვებოდა.

სამაგიეროდ, მამაჩემს არ ეშინოდა ჩემი და ბღის მეგობრობის და ეს ძალიან მიკვირდა. ერთხელ უკვე შემოდგომა იყო, ოქტომბერი იდგა. ჩემს ბაღს ფოთლები ოქროსფრად უელავდა. ზოგი წითლად იყო დანინკლული, ფართო შიფონის ნაჭერივით მეხვია გარშემო მისი ჰაეროვანი ფერადოვნება. მე ყველი, პური და ქართულის წიგნი მქონდა თან. ვიჯექი

ჩემთვის. თან ფოთლებს ვაკვირდებოდი, თან შარაზე მიმავალ მანქანებს და ნაც-ნობ-უცნობებს. უცებ ჩიშკარმა გაიჭრია-ლა და ჩემი მამიკო შემოვიდა ეზოში. დამინახა, გამიღიმა და ჩემკენ წამოვიდა.

- იჯექი, ცისია, იჯექი, მეც ამოვალ, - მითხრა მან და ზუსტად ისე ამოვიდა, როგორც მე. მარჯვენა ფეხი დაფნის გადაჭრილ, ბებერ კუნძს დაადგა, მეორე ხელი ბღის ქვედა ტოტს მოავლო და უკვე ჩემტან იყო. ის ისეთი გახარებული იყურებოდა აქეთ-იქით, რომ ვერ მოვითმინე და ვკითხე:

- მამიკო, ამ ბაღზე შენც ასე ჯდებოდი, ხომ?

- რა თქმა უნდა, მეც ასე ვიჯექი და მამაჩემიც...

- რაა?! - გამიკვირდა მე, - როგორ! ეს ბალი რამდები წლისაა?

- ბევრის, ცისია, ეს ბალი ბაბუაჩემის, ნიკოლოზის დარგულია, აქ, ამ ადგილზე სამი თაობა იჯდა და ზოგი მის დალოცვილ ნაყოფს მიირთმევდა, ზოგი ომობანას თამაშის დროს იმალებოდა, მაგალითად, ჩემი ძმა, ბიძაშენი ნიკუშა, ხოლო მამიდაშენი ცირა, ასე, შენსავით ამოვიდოდა და კაჭკაჭივით იხუპირებდა ლექსებს. ასე რომ, ეს ბალი ჩვენი გვარის ისტორიული ხეა, ამის ქვეშ ბაბუაჩემის ქვევრებია ჩაფლული. მან სულ ცოტა ნახევარი საუკუნე კიდევ უნდა იცოცხლოს და გაგვახაროს. შენ რას იტყვი, პატარავ, თანახმა ხარ?

- თანახმა ვარ, აბა რა, მე რომ შვილები მეყოლება, იმათაც ვასწავლი, ისინიც ამოვლენ და ბაღს ძალიან გაუხარდება, არა, მამა?

- რა თქმა უნდა, გაუხარდება. ძალიან გაუხარდება! - თვალები უციმციმებდა მამაჩემს, ხოლო როცა სახლისაკენ გავიხედეთ, დავინახეთ დედა და ბებია, რომლებიც გვიყურებდნენ და იცინოდნენ, იცინოდნენ, განსაკუთრებით დედაჩემი. მერე ჩვენც გადმოგვედო და როცა მამაჩემის მოხუცმა ბიცოლამ, ოლიკომ თავისი ეზოდან ბღის ხეზე დასკუპებული მამა-შვილი დავინახა, გაკვირვებულმა საჩვენებელი და ცნერა თითი ტუჩის კუთხეებზე ჩამოისვა და მოულოდნელად ისეთი სიცილი აუტყდა, ცოცხი ხელიდან გაუვარდა, იქვე კიბზე ჩამოჯდა და როცა სული მოითქვა, ასეთი დასკვნა გააკეთა:

- ეჰ, თქვენი გვარის უცნაურობას საზღვარი არა აქვს, სულ მაღლა და ცისკენ რომ იყურებით და მისწრაფით, ემანდ მხრებზე ფრთები არ ამოგივიდეთ! მამაჩემმა კიდევ, - რა ვიცი, კაცო, მოვისინჯოთ ერთი, იქნებ კიდევაც ამოგვდისო, - და ახლა უფრო ახარხარდა. მე ისე ვკისკისებდი, დედაჩემმა შიშით ამოგვხედა, - მაქედან არ გადმოცვივდეთ, რა დუეტი გამართეთო. თვითონ კი უარესად იცინოდა და ბებიას ჩვენი რარაცას ხმადაბლა ეჩურჩულებოდა. ქუჩიდან ნაც-ნობები გვესალმებოდნენ, მამა გაუმარჯოს, გაუმარჯოსო, ჩასძახებდა ზემოდან. ჩვენი ბალი კი იდგა შემოდგომის ფერადოვნებაში დედაფალივით და ჩვენთან ერთად აბნევედა აქეთ-იქით სიხარულს.

ალექსანდრე ჯინჭარაძე

ჩიტიც ხომ ტოტიდან აფრინდება,
სულს კი წუხილი მინც არ ტოვებს...
და ახლა წამია გარინდება
და გვანან ძლიერ ხელები ტოტებს.
პატიოსანი, ქრისტეს ცრემლივით,
დობილი არის სული ჩიტების.
გიგრძენია სუნი გადათელილი
თვალდახუჭული მზესუმზირების?!
შენ მეტყვი: ჩიტებიც კი კვდებიან
და ასე მოსდით ალბათ ჩვენს ხელებს.
ცრემლები რად არ დაჰკიდებიათ
ოთახში შემოსულ მნახველებს?!
მზე — თმებგაუშლელ სილურჯედ ბავშვის
ნაფრესკალებში ჩამწვარა დილა...
შეურხეველი შეერთა ნიავეში
და ცამ, რომელმაც დაგვადობილა:
შენ რომ თქვი ჩიტები კვდებიანო,
მაშინ რას ხედავენ, ჰა, ნეტა?!
თავი სხვა პოეტებმა მოიკლან.
ჩვენ კი დღეს ვიცხოვროთ. ყვავილებს
დავიკრეფ საკუთარ ლოგინთან.
ჩემს სიზმრებს ვანახებ ყვავილებს!

დედას

ჩამოაყოლე ლოცვა თითებს კრიალოსნებად,
ვიდრე მზეები იშვებიან შენი თმებიდან.
ლურჯი იების გარინდება მიაქვს ოცნებას
დე, ეს იები არასოდეს შეიშლებიან!
შენ გესიზმრება წმინდანები და ქრისტეები.
სერაფიმები გილიმიან მშვიდ ფრესკებიდან
და მოგელიან დასაკრეფად ქარვის მტევენები.
დე, შენი თმები ვაზის რტოებს ეფერებიან...
და როგორც ნინო, შენც დახრილხარ
მაყვლოვან ბუჩქთან.
მარადიული ხმაი გესმის კერპთა მსხვერვისა...
იგალობებდე ქრტილებს როგორ გადურჩა
შენი დალილი სულის ლანდი და ხმას მესხას!
ხედავ, ხეები თავდახრილან და მოკრძალებით
აპრილმა თმები კესანებად გადმოიყარა.
გაზაფხულები, დე, მოდიან შენი ბრძანებით
და გული ეტრფის ყვავილების ცისფერ
ნიაღვარს!
სად, სად, გელოდნენ სიკვდილები
ჩასაფრებულნი
ოდეს გვარვიდნენ კრეტსაბმელნი
საკურთხეველთა...
სული ცეცხლია ბროლის ყელში გადაშვებული
მინც გადურჩა ავაზაკთა, კერპთა, მრბეველთა!
ჩამოაყოლე ლოცვა თითებს კრიალოსნებად...
ხედავ, მზეები იშვებიან შენი თმებიდან.
ლურჯი იების გარინდება მიაქვს ოცნებას...
დე, ეს იები არასოდეს შეიშლებიან!

სიზმარი

აყვავებული კუბოები ცად მიფრინავენ.
ცად მიფრინავენ აყვავებული კუბოები.
და თუ შეგცივდა, გთხოვ, საბანი გადაიფარე,
ო, შენს არყოფნას მე ვერასდროს შევეგუები!
ძველ სურსათით ათილია ზაფხულის ყელი
და შემოდგომა გადმოუდის ღვინოდ და სისხლად.
მაღლა ცეცხლი. უთუთრესი. ვრცელი და ვრცელი.
ო, ამ ვარსკვლავებს შენ ოდესმე ყელზე აისხამ!
მე სახსრებით ამტკივდება ზოგჯერ თოლია.
მიყვარს ყვავილებს ოთახში რომ ავიტან ნელა.
შემფოთებული ხეებია. ლურჯი თოვლია.
და მეთევზეთა სიღარიბე აუტანელი...
მესალმებიან ყვავილები მე ყოველ დილას.
მე ყოველ დილას ეს ხეებიც მესალმებიან.

როგორ შემედლო უშენობა ვერ მომეთმინა,
ვხატავდი კაბებს გვირილიან-კესანებიანს!
ადვილი არის განშორების ტკივილით ტკობა.
ზის მოხუცი და არაყს მთვარის ნატებს აყოლებს.
შემოდგომა, — გაყვითლებულ ჩალებს ეტყობათ,
ვინ, ვინ დაითვლის იმ გარდასულ ნათესაობებს!
და როს ასაკიც ემატება თითქოს დედაჩემს.
მე მეტ მსგავსებას ვხედავ მასსა და
ჯვარცმას შორის.
ნელში მოხრილი მამაჩემი დგას და ვერ მამჩნევს,
რომ ცაზე უფრო მისთვის მე ვარ შორი და შორი!
ხელში დაჭერილ ჩიტის მსგავსად ჩვილია გული
და დახოცილი პელებია ირგვლივ და ირგვლივ...
შენს საფეთქელთან ალიონი ჩალურჯებულა
და ეშინია ნედლ ბალახებს თუ გადაივლის!
ჩვენც მზეებიდან გამოვდივართ წვიმის
სანყისთან,
რომ გაუღიმოთ და გვიყვარდეს ხელის
შეხებით.
და მარტოობას გამოვექცეთ სულის
განმგმირავს.
ცა — დაფლეთილი ღრუბლებია ერთი
შეხედვით!
ქვაში კივიან პროფილები ათილლ სახეთა.
მერე ნელ-ნელა განსხვავებულ ფორმებს
იღებენ.
და არსებულში როს არმყოფი აისახება
ჩვენი თვალები იშვებიან სხვა წიალიდან!
ო, ეს თვალები ისე სწუხან ცათა მანძილებს.
თეთრი მკლავებიც, სივრცეებს რომ
ეზღაპრებიან...

სული ცეცხლია, მითხარ ერთი რა დაამძიმებს?!
ავედევნებით ქრისტეს, როგორც მეზღვაურები!
მზეც, შემომხედე, ახლა იცი მეც ამოვივიარ
ზღვა საკუთარი საოცრების ტანის ჩეროდან.
სილურჯეები შორიზონტთა მემამბორება,
უშენობაა გადაფრენა დალილი წერთა!
ო, ფრთააკეცილ ღამეების თეთრი ელფერი —
ხელში ჩამკვდარი ჩიტის გულის მელანქოლია.
აყვავებული კუბოები ცად მიფრინავენ —
შიგ სიკვდილებიც ყვავილობენ ასე მგონია!

ბავიას

წამოუბერავს საღამოზე დალილი ქარი
და ღია სარკმელს ფრინველივით შემოასკდება.
ჩამოათოვლე, ბე, ზღაპრები დაუფინყარი,
ჩამოათოვლე ზამთრის ო, ეს შემოღამება!
ეშვება თოვა და დავანთოთ ბუხარი, მოდი,
რომ მიფრინოთ სახეები ცეცხლის ნაპერკკალს.
ბე, გაიხედე, ბუხრის ყელში მღერად ამოდის
ზამთრის კივილი და ჰაერი კვლავ იკანრება!
შეხედე, ეზოს ვით მოხვია ხელი სითეთრემ,
თითქო აღდგომა ესიზმრება მკვდრეთით
მაცხოვარს.
ბე, ულურჯესი ბაშვობის ცა კვლავ გამითენე,
ჩამოასიზმრე: მზე, ჩიტები, ყოფნა, არყოფნა!
სულმოუთქმელად, ბე, ეცემა თოვლი და ქასთან
თითქო სიცივით თავს იკლავენ ფოთლები ნელა...
ო, სითეთრეა, და დალილი, როგორც ჭაღარა
მთებს ეთხოვება შემოდგომა უკანასკნელი!
ბე, დაამღერე იმ ფანდურზე დაყრილი თმები.
ბე, არასოდეს ასე სუფთა ცა არ ყოფილა...
თითქო სინათლეს ფეხმძიმე მზე შენთვის
ითმენდა
ხარ, ქრისტესავით, სიკვდილისგან
უარყოფილი!
ჩამომილოცე, ბე, ცრემლების ზღვა ყვავილები.
და პირველსხივის გარინდება რძისფერ
(ვისკართა.
იგალობე, ბე, სანამ მართლა არ დაიღლები
ბაბუას გულში ჩარჩენილი რომ ცა იკმარო!
ჩამოათოვლე ის ზღაპრები დაუფინყარი...
და მირონცხება ყვავილების პირველ სურნელთა.
ბე, ულურჯესი გადმოვცურე შენი სიზმარი.
ო, სითეთრეა, და ეშვება თოვა სულ ნელა...

ალექსანდრე ჯინჭარაძე

შუქუფი ნიჰალი 1896-1973
(ქალი პოეტი)

სისხლსავსე ცხოვრების, სიყვარულების,
ქორწინებების და პოპულარობის მიუხედავად,
შუქუფე ნიჰალმა ცხოვრების ბოლო წლები მოხ-
უცთა თავშესაფარში გაატარა და იქვე გარდა-
იცვალა. ეს მისი უკანასკნელი ლექსია.

ოქროსფერ ქვიშას დავაწერე შენი სახელი.
უკანასკნელი მოვიწმინდე ცრემლის წვეთები,
ზღვისპირას ვზივარ, ნავეებს ვითვლი,
შენგან სახსოვარს, - ვუმზერ თეთრ ცივ ქვას,
გამყინვია სული ქვასავით! ისევ ქრის ქარი,
ბობოქრობენ ისევ ტალღები,
ბოლო ოცნებაც დამეკარგა, სადღაც ქვიშაში...
დამარცხებული ვუმზერ სივრცეს,
მზეც მე ჩამომგავს, გაჰხუნებია მასაც ფერი,
ისიც ფითრდება. წამილე ზღვაო,
გამიტაცე მაგ წყლის ქვეშეთში,
ვილა ვარ, მხოლოდ ერთი ქვა ვარ,
ათას ქვებს შორის, „ნუ გავიყრებით,
ერთად ვცურეთ, ხელჩაკიდულმა“ -
ოდესღაც სატროფომ, ამ სიტყვებით გამიშვა ხელი...

ჰულია დენიზ უნალი

(თანამედროვე პოეტი ქალი)

ქალიან კარგი ამინდია დღეს

კარგი ამინდია, რამე გავაკეთოთ,
კარგი ამინდია, მოდი, ბორანზე ავიდეთ,
გაღმა გადავიდეთ, ინჯირათალის კბოდეს.
ანდა იქნებ სხვა რამ... მსგავსი რამეებით,
ამინდს დავახსოვოთ თავი,
ავტობუსს შევახტეთ, სარნიჩში წავიდეთ...
ანდა... მოვიფიქროთ რამე...
ბორანზე თოლიების გულები მოვიგოთ, -
პური ვუნიალოთ ერთი,
სარნიჩში იქნება სტეპების კვალს მივყვით,
ან ზღვაში ვისროლოთ ქვები. ანდა მონატრებით,
თურქელ მინიბაშის - ჩვენი ლამაზი მწერლის,
სადგურის კაფეში ჩაი დავლიოთ
და ჩაით გავიხსენოთ, მწველით.
ნახვა რომ გვინდოდა, ვნახოთ ადგილები,
გაზზე, მაგალითად, ომი,
გაზზე ვარდია და ადამიანების
სინდისს დაეკლავს, მგონი,
რადგან პატარების ცრემლები არ წყდება,
რადგან მშვიდობაა შორი, შხამით დანამული
ოლეანდრებიდან დარდი ცრემლებად მოდის...
კარგი ამინდია, რაც ვერ გავაკეთეთ,
დღეს ის გავაკეთოთ, მოდი.

თარგმნა ეთერ სადალაშვილმა

გულთინ აკინი

1933-2015 ქალი პოეტი, გულთინ აკინი
დაიბადა ქალაქ იოზგათში. 1955 წელს დაამ-
თავრა ანკარას უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ად-
ვოკატად, მასწავლებლად. აქტიურად იყო ჩაბ-
მული თურქული ენის, ადამიანთა უფლებების
დაცვის ღონისძიებებში. იყო კულტურის მინისტ-
რის მრჩეველი. გამოცემული აქვს ოცზე მეტი
წიგნი. მინიჭებული აქვს ათი პრემია.

„აქ არავის აქვს დრო გაჩერდეს
და წვრილმანებზე გესაუბროს“,
„ლექსი სტროფში გაჭედილი
ფეთქებადი ენერგიაა,
ლექსი დაგშლის, აგაფეთქებს.
ასეა, ამადლებულად საშიში რამეა.
ლექსი ხან სიამოვნებაა, გადმოცემა,
თან უსასველო თავისუფლება,

სილაღე. თან ძალიან ნაზი წონასწორობა,
შინაგანი წესრიგი, მოთმინება და ენთუზიაზმი,,
ლექსი დამსხვრეულ ქალებს
ლამაზი კანი რომ მირაჟია,
ბოლოს რომ ქრება იციან ქალებმა,
ქალებმა, რომლებიც ბოლოს
მკითხაობის ჭაობში იძირებიან.
სადღაც სიბნელეში, დაშვებული,
იდუმალი ფარდის მიღმიდან
ნამარჩილები იმედების სხივი,
მხოლოდ იმ დაშვებული ფარდების
სიგრძის ზომაა. ეძიებენ იმედებს ქალები...
ვის აინტერესებს მათი სამყარო, რკინაა?
ცეცხლია? თუ ჯოჯოხეთია.
პროპელერით მოზზრიალენი,
ფერადი შუშების მსხვრევა - მსხვრევით,
დამსხვრეული ფრთებით, ამთავრებენ ქალობას.
ლამაზი კანი რომ მირაჟია,
ბოლოს რომ ქრება, იციან ქალებმა.

ვზივართ ოცნებების ყავახანაში
და ვსვამთ ცხოვრების ჩაის.
ყოველ ჯერზე, ნაკლებად გვეწვება ტუჩები.
ყოველ ჯერზე, უფრო გრილია,
ჩვენი ჩაი. ყავახანაც დანგრევის პირასაა
თითქმის... მომსვლელნი იგივე...
წამსვლელნი იგივე...
ხომ არ გავიდეთ ანი ყავახანიდან?
ერთი ყლუპიც კიდევ? რატომ?
არ მოგებზრდა ტუჩების წვა ჯერკიდევ?

ჰალიეა ნუსრატი ზორლუთუნა

მწერალი, პოეტი და პედაგოგი

„ქალი მწერლების დედა“ - ასე იცნობენ ჰა-
ლიეა ნუსრეთ ზორლუთუნას. იგი 1901 წელს
დაიბადა სტამბოლში. ჟურნალისტიკა და შემდ-
გომში პოლიტიკოსის ოჯახში. მამამ მთელი ცხ-
ოვრება გადასახლებებში და ციხეებში გაატარა,
რამაც კვალი დააშინა პოეტის მთელს ცხოვრ-
ებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოჯახი
სტამბოლში დაბრუნდა და ჰალიეამ შეიღო ლი-
ცეუმში სწავლის გავრძელება. ამ დროს მას მამა
გარდაეცვალა. ჰალიეამ მამის სსოფენს მთელიდ-
ვა ლექსი „ მტირალი სიცოცხლე“, 1917 წელს ამ
ლექსით კონკურსში გაიმარჯვა. ლიცეუმის დას-
რულების შემდეგ სტამბოლის უნივერსიტეტში,
ხელოვნების ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.
გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პედაგოგად
მუშაობის უფლება მოიპოვა. მოგვიანებით ის-
ტორია და ინგლისური შეისწავლა. 1924 წლიდან
მუშაობდა პედაგოგად სხვადასხვა ქალაქებში:
ყარსში, არდაჰანში, ურფაში, ქირქკალეში, ან-
კარაში ... 1926 წელს დაქორწინდა აზიზ ვეჯიში
ზორლუთუნაზე და მიიღო ქმრის გვარი. მისი
რომანები და ლექსები იბეჭდებოდა თურქეთის
სხვადასხვა გამოცემებში. იგი აქტიურად იცავდა
ქალთა უფლებებს. იყო სხვადასხვა ორგანიზაცი-
ის წევრი. გარდაიცვალა 1984 წლის 10 ივნისს.
მისი არქივი დაცულია ქალ შემოქმედთა ფონდის
ბიბლიოთეკაში და ინფორმაციის ცენტრში. გა-
მოცემული აქვს ლექსების ათამდე კრებული და
7 რომანი. მოგონებების 2 წიგნი და წერილები.

ჰალიეა ნუსრეთ ზორლუთუნა 1901-1984
(ქალი პოეტი)

გამეცალე, ამ ჩრდილებში რა გინდა...
გაზაფხულის მზერა ისევ მთვრალია,
ნუ შეცდები, ჩემს გულს ნუ ესტუმრები,
სალოცავთან ჩარაზული კარია.
ტაძარია, მეიჰანე კი არა!
ამ გვირილებს რად აქვთ ოქროს გვირგვინი,
მზისფერ თმებში დაიბნე ვარდები,
გაზაფხულო, წადი, ღვთის გულისათვის,
მუხლმოდერეკილ ქალწულს ნუ ადარდებ...
გულს ნუ მოხვალ, ის კამაზე არაა!
სიკამკამე, სურნელება, ფერები,
ერთი დღე და კიდევ ერთი ქორწილი,
ბულბულს მკერდში უზის მისი ლანდები, -
ბულბულს მკერდში ეღვრებიან ვარდები!
ლამაზი ხარ, ვიცი, არ მეჩვენები!
გაზაფხულო, წადი, სხვა გზებს უღიმე!
ზღვას ფერები საჩუქრებად ეყაროს,
ცის ტატნობზე, ცის კიდზე იარე,
ოლონდ ჩემს გულს, ამ გულს არ გაეკარო.
კანდელია, ფეიმაზე კი არა.

*მეიჰანე-გასართობი ადგილი, ტავერნა.
** კამაზე-სასახლე ფეიმაზე-სასმისი ალკოჰოლისთვის.



ბელა შალვაშვილი - 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი ბელა წყალობას ასული შალვაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათვამია:

ქალბატონო ბელა!
ჩვენო ძვირფასო და ერთგულო თანამოქალაქე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს, ჩინებულ პოეტსა და მთარგმნელს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

სრულიად ახალგაზრდამ შეაბიჯეთ ქართულ მწერლობაში. 1958 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები და მას შემდეგ ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც ამშვენებთ XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას.

თქვენი პოეტური ნააზრევი, რომელიც დაუნჯდა ისეთ კრებულებში, როგორცაა „არდავიწყება“, „ლექსები“, „ჩემი ძახილი“, „მზეო, მზეო“, „უსასრულობა“, „ჩემი ნაცნობი ჩიტი“, „ჩიტები წუხან თავის ენაზე“, თანამედროვე ქართული პოეზიის ორგანულ ნაწილად იქცა. ისინი შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა პოეტური ძალმოსილებისათვის, სათქმელის ცხადად გადმოცემის ნიჭისთვის, თავანკარა ქართულისთვის, გულწრფელობისთვის, ქალური სინაზისა და სიფაქიზისთვის, კდემამოსილების და სათნოებისთვის... ეს ლექსები თითქოს იმ ფესვებიდანაა ამოზრდილი, რომლებზეც ასე მყარად დგას თქვენი საესავი სამშობლო...

რა დიდებული მთარგმნელი ხართ, რა დიდ ეროვნულ, საშურ საქმეს შეეჭიდეთ, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ფირდოუსის ქართულად ამეტყველება გაბედეთ. ათწლეულების განმავლობაში თარგმნიდით ამ უდიდესი სპარსი გენიოსის უკვდავ „შაჰნამეს“, ათწლეულების განმავლობაში სიზიფესავით ეზიდებოდით იმ ვეება ლოდს, რომელთან შეჭიდებას ბევრი ვერ გაბედავდა. მაგრამ სიზიფესგან განსხვავებით თქვენ მაინც მიარწიეთ მიზანს და ქართველ მკითხველს სულ მალე ექნება საშუალება, მშობლიურ ენაზე გაეცნოს ამ უკვდავი პოემის სრულ ტექსტს, რომლის პირველმა ორმა ტომმა უკვე იხილა დღის სინათლე...

ასევე ბრწყინვალედ თარგმნეთ ალექსანდრ ბლოკის, მიხეილ ლერმონტოვის, ანდრეი ფეტის, ფეოდორ ტიუტჩევის, შაჰიდ ბალხელის პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

არაერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული თუ პუბლიცისტური ნერილის ავტორი ხართ.

საინტერესოდ გვეჩვენება თქვენი მოგონებების წიგნი „გარდასულის კვალდაკვალ“.

წლების განმავლობაში მუსაობდით გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქტორად, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის რედაქტორად, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტად და ყველგან კეთილშობილების იდეალებს ემსახურებოდით.

თქვენი მრავალწლიანი, მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა ივანე მაჩაბლისა და ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. ირანის ისლამურმა რექსპუბლიკამ ყოველწლიური საერთაშორისო პრიზი „წლის წიგნი“ მოგანიჭათ.

ქალბატონო ბელა!

კიდევ ერთხელ სიყვარულით მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვანდომოსილ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ-ახალ გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქვირფასო ბელა!

ჩემს სახლში სამუშაო მაგიდაზე შენი უზარმაზარი „შაჰნამეს“ გვერდით შენი სურათი მიდევს. ერთადერთი ფიქრი, როცა ორივეს თვალს შეგავლებთ, ჩემს გონებაში რომ გაკრთება, აი, ეს არის: როგორ შესძელი შენ, ერთმა კაფანდარა შავტუხა კახელმა გოგომ ამ ტიტანური შრომის ასე უშურველად ჩადება სპარსული ლიტერატურის დიდების ქართულად ასამღერებლად. ეს ხომ თავგანწირვაა, ჩემო ბელა! შენ ჭეშმარიტი გმირი ხარ, გმირი ხარ და ყველაზე სახელოვანი ქართველი ქალების გვერდით ნათობ.

იმ დღეს ზუგდიდში ერთად ვიყავით. მთელი გზა მეჭიკჭიკებოდი შენი წმინდა და ღვთიური ჭიკჭიკით საქართველოს ბედზე, მწერალთა კავშირის სასახლის წამრთმევთა უგუნურებაზე. და უეცრად წარღვნასავით მოასკდა ავტობუსს რალაც. პირველი, რაც გავიფიქრე, ბელას ხომ არაფერი დაემართა-მეთქი. მაღლობა ღმერთს, გადავრჩით. როცა სახლში მიგაცილე, ცრემლშეკავებით ნაიჩურჩულე, რეზო, იცი, დილიდანვე მქონდა წინათგრძნობა, რომ ეს მოხდებოდა.

ღმერთმა გარიდოს ავი თვალი, ჩემო ბელა, შენი 80 წლის სადღეგრძელოს ვსვამ.

რევაზ მიშველაძე

ბელა შალვაშვილი

ურიცხვი ვარამის მნახველები, სხედან, ბუბუნებენ დინჯი კახელები. არაპირმოთენ და საქმენაღდები, სხედან მკერდსა შინა პატარა ნაღმებით.

თითქოს აფასებენ ნაჯაფ-ნახელავეს, დროდადრო კოჟრიან ხელებს დახედავენ, დროდადრო თითქოსდა... ოცნებას აპურებენ, ზეცას კრძალვითა და კდემით აჰყურებენ.

ალაზნის ველივით დაფიქრებულები... დამუნჯებულები სათქმელით უღვეით... მაგრამ გახელებაც იციან კახელებმა, აჰა, ალავერდი, სიღინჯე, გახეცება.

თუმცა უწყინან, რომ სოფელი წამიერობს, მაინცა მღერიან: "მრავალჟამიერო"... ათასი ჭირისა და ვარამის მნახველებო, ეს თქვენ გაგიმარჯოთ, ძმებო კახელებო!

კამკამა ზეცა

ზეცა ისეთი კამკამაა, აღარ დაგჭირდება სარკე... ახლა გვიანაა საკმაოდ, აქეთ, სიყვარულო, აქეთ. ტეხური ისე კამკამაა, ცას არ დასჭირდება სარკე... მთვარეს მდინარის აკვანში სძინავს და... ტალღები არწევს. სულ არ მეძინა ამ ღამეს, აქეთ, სანატრელო, აქეთ... ჩემი თვალები კამკამაა, აღარ დაგჭირდება სარკე...

ალზევა

გადამავინყდა ზამთრის სიაცე და ქვეყნად ყველა წყენას ვივინყებ, მოდის აპრილი და დამიამებს, ან გამიახლებს წარსულ ტკივილებს. შემომანათეს ფურისულებმა, ნუშის და ტყემლის თეთრმა ფთილებმა... გავიჭრები და ვივლი ველებზე, რა ვუყო, თუკი მეაპრილება! გავიჭრები და ვივლი ველებზე, რომ დამანახონ დიდმა ველებმა - როგორ ჩნდებიან ნაირფერები და გულიანად ამემღერება! ავალ იმ მთაზეც, ცას რომ ეხლება, ავალ და ზეცას ხელით შევწვდები... ძლიერ მნადია ეს ამაღლება, - სხვა ამბავია, თუ ვერ შევძელი. შემომანათეს ფურისულებმა, ნუშის და ტყემლის თეთრმა ფთილებმა... გავიჭრები და ვივლი ველებზე, რა ვუყო, თუკი მეაპრილება!

მზე მეტ სითბოს და სინათლეს ბარდნის, ფერადოვნებას აჩენს მაისი...

და მეჩვენება აღარ მაქვს დარდი, - არავისი და არარაისი.

გადავიზამთრე... არე-მიდამომ გამიბატონა ხასხასა მწვანე; და სარდიონის ფერით მდიდარმა ყვავილმა ცეცხლი ნაჰკიდა ყანებს.

ამ სიმწვანით და გულში უშქარი ჩიტბატონებით აღფრთოვანება ახლა ვილაცას თუ არ ვუთხარი, მერე ძალიან დამენანება.

დამენანება, ამოხმიანი, გულში ნამღერი ოდა მაისის, თუ არ გაეხადე თანაზიარი, - არავისი და არარაისი!

და... ჯვარი!

აი, ეს მშვიდი სილამაზე უფრო მახელებს, ღირსჰყო ამგვარი სილამაზით ბუნებამ ქართლი,

წყნარი სინაზე არის ასგზის დიადი მაღლი, - ნელ-ნელ ედება რომლის ძალა ქართლის მნახველებს.

ჰა და ჰა, ცაში აინევა, მგონია ჯვარი, ჰა და ჰა, ალაპარაკდება ცხოველი სვეტი, ველარსად ნახავ შემოგარენს ამგვარად მეტყველს, აქ სისავსით და სიამაყით იცნობა მტკვარი.

ყოველს ატყვის უფლის ხელის ნატიფი კვალი, აღარა გინდა ამ გრძნეული გარემოს მეტი, ყოვლის წინაშე მოიხარო, გნადია, ქედი...

აქ მეჩვენება ყველა ჩვენი უკვდავი მკვდარი, ცოცხლებზე უფრო ცოცხლები და უფრო მეტი და ჯვარი, უფლით დანთებული უქრობი კვარი.

როდის?

როდის ისვენებს არაგვი, რა დროს იძინებს მტკვარი... ნეტავი როცა არა ქრის, მაშინ სად არის ქარი... რად ვერ მოშუშდა აქამდე ქვეყნად ამდენი წყლული... და თუ რამე არ აღანთებს, როგორ ისვენებს გული...



მამუკა ოჩიაური

დავაგვიანე

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
ძილიც დავკარგე სიზმრის დობილი
ნეტავ, ვინ ჩახსნა შენი საკინძე
და ვინ შეავსო შენი ლოგინი.
იმ განათევარ ღამეთა კვალში,
ძველ მოგონებებს კვლავ ვეურჩები
ვინ გაეხვია ვნებების ალში,
ვინ დაგიკოცნა ნეტავ ტუჩები.
ვინ ჩაგიხუტა ნეტავი გულში,
შენში არია მწველი ფიქრები
და ჩაგჩურჩულა ღამაზო ყურში,
რომ საუკუნოდ შენი ვიქნები.
ღამემ მიიღო დილის იერი,
ბნელეთს სინათლის გასატეხს შურდული
ნეტავ ვინაა ის ბედნიერი,
ვინ გახსნა შენი გულის ურდული.
ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
წლებს გავატანე ძველი სიამე
მე ვერ ჩავხსენი შენი საკინძე,
სიტყვის გამხელა დავაგვიანე!

დაგვიანებული პასუხი

*“სადამდე ვიარო უშენოდ შარახევს
ერთურთი შორიდან სადამდე ვახელოთ”*

ვინიცის ნისლებმა ეგ მთები დალახეს,
ვინიცის, უჩემოდ რამდენჯერ გათოვდა
მე ვეღარ დავბრუნდი ბარიდან შარახევს,
არადა ეს გული მხოლოდ შენ გნატრობდა.
მთას დარჩა ბავშვური სითბო და ტკივილი,
სიობლე და შენი ნანანავთა სურნელი
მე დღესაც ჩამესმის ქარების კივილი,
გულზე მაქვს იარა ჯერ განუკურნელი.
თუმცადა დამრჩალა იმედის სინათლე,
ჩვენ შორის ლოდინი გამხდარა საშარო,
ვინ იცის,ვინ იცის რამდენჯერ მინატრე,
მე კი დამატყვევა ქალაქმა, ქალშავო...

ქალშავა

ქარმა ჩამონა არყის ტოტები,
მთებს ნისლი შევინს ვერცხლად, არშავად,
მე უსასრულოდ დაგელოდები,
არ მემეტები სხვისთვის, ქალშავა...
დაგელოდები ფიქრებით დამწველს,
მნათ ცისკრად მოსულს ცაზე აისად,
თუ ვეღარ მოვალ შენამდე ამ წელს,
ჩემი გერქმევა, ვიცი, გაისად...
და თუ გამწირავს სიცოცხლის ძალი,
მოვევლინები ქარებად ველებს,
მნამს, სამზოდან ის ტურფა ქალი
გამატანს თავის უმანკო ცრემლებს...
ჩამონწულია ხეთა ტოტები,

ნისლმა ეს მთები სრულად წაშალა,
მე კვლავ გზას ვუმზერ და გელოდები,
რად აგვიანებ მოსვლას, ქალშავა?!

ვერ შეგეღიეთ შენა და ქარაფს,
ბევრჯერ ვათენე ღამე ცქიოტი,
გულით რამდენი სათქმელი დამაქვს,
რამდენი მანევს დარდების ლოდი...
ვერ გიერთგულე, ვერ ვგუობ მაგ ბარს,
ცელქი ქარები დაჰქრიან ველზე,
ამ სიყვარულის ჩაუქრობ ამბავს
იქ, მომავალში იტყვიან ჩვენზე!..

გამებუტე და წერილებს არ მწერ,
ზარს არ პასუხობ, მშორდები, ქრები,
ჩემს ფანჯარასთან ქარი ხეს არწევს,
ცდილობს, დავარცხნოს მეჩხერი თმები...

რალა დავნერო ...

რალა დავნერო, დამზრალა სული,
გულს მოლოდინის აძგერებს ძალა,
დრო ვერ ახუნებს შეხვედრის სურვილს,
წარსულმაც ჩემგან ვეღარ დაგმალა...
რალა დავნერო ან რა ფერებით,
ეს ხომ გრძნობაა, განა ყინია,
სიზმრად ყოველღამ რომ გეფერები, -
სიყვარულია, მოლოდინია.
მე დაბრუნებას იმედით ვიცავ,
შენსკენ მომაფრენს ფიქრის იაბო,
ყოველღამ ტანზე სიზმარეთს ვიცვამ,
ეს ყველაფერი შენ რომ გიამბო.
რალა დავნერო დაუნერელი,
რალა დავნერო ჯერ არ ნახული,
გრძნობას სურვილი შერჩა მშველელი,
გრძნობა, წლებისგან ვერ გალახული.
რალა დავნერო, თქმით ბევრი ითქმის,
ერთი ქალშავა მე რომ მანამებს,
ჩემს უნებურად გული კვლავ ითვლის
უშენოდ გასულ წუთებს და წამებს...
რალა დავნერო, დღე ფარაგინა
სალამოს ჩრდილში გალუულია,
გეტყვი, რომ გული უშენოდ მტკივა,
გეტყვი, სხეულიც მთვარეულია.
რალა დავნერო, დამზრალა სული,
ღამეს რიჟრაჟის გლეჯენ ეშვები
შენთან შეხვედრის გაუქრობ სურვილს,
ვერ დავეხსნები, ვერ შევეშვები!

მკითხველს

კრძალვით შევდექი მე ამ ბილიკზე,
თვითონ განსაჯე, ღირდა თუ არა,
იქნებ არ ჰყვავის, როგორც პირიმზე,
იქნება ჭკნობამ ჩამოუარა...
იქნებ გახუნდა გამა ფერების,
დგას უსახური, როგორც ფიქალი,
იქნება რითმას ვერ ვეფერები,
არ დამიმალო, ოლონდ მითხარი...

ქათივან დედოფალს

ჯალათებს უყვართ ოქრო და ვერცხლი,
გასალენია მოთმენის კალო,
დიდ მოედანზე დაანთეს ცეცხლი,
შენ რომ განამონ დღეს, დედოფალო.

რომ მოგახვიონ ყელზე მარწუხი
და დაგიშანთონ მთელი სხეული,
ბოლო წუთამდე თავზე არ სწუხდი,,
გრძნობდი, სამშობლო იყო სწეული.

ტკივილი სადღაც შორეთში იწვა,
გულმა იარა ვერ მოიჩინა,
ღმერთს ლოცვით სთხოვდი, მშობელი მინა,
ამ მტარვალთაგან გადაერჩინა.

ქრისტე არ დაჰგმე - ჩვენი მესია,
რატომ არ ქრები ცოდვისგან, ალო,
მტერი მუმლივით შემოგვესია,
შენ კი ამალღდი ცად, დედოფალო.

მკერდი მოგკვეთეს, არ დაგცდა კენესა,
თავზე კი ცხელი დაგხურეს რკალი
დღეს ყველა ქართველს მსურს, ჰქონდეს წესად,
არ შეიცვალოს რწმენის გზა-კვალი.

არ განიბანოს ჩაუქრობ ცეცხლში,
ყველა მზაკვრობას რომ უთხრას, არა,
არვინ გასცვალოს ოცდაათ ვერცხლში
ღმერთი, ქრისტე და მთელი ქვეყანა.

ჯალათებს უყვართ ოქრო და ვერცხლი,
გალენილია დღეს ცოდვის კალო,
დიდ მოედანზე გიზგიზებს ცეცხლი,
შენ კი ამალღდი ცად, დედოფალო!

მოხუცი მართა

ნასახლარებში დასახლდა ქარი,
კერაში არყი ნამოიმართა,
სევდიან ხმაზე ჭრიალებს კარი,
სოფელს ასოფლებს მოხუცი მართა.

არავინ შერჩა მოხუცს დამხმარე,
გვერდში მდგომი და წყლის შემომტანი,
ბაღში მსხალია თითქმის გამხმარი,
შორს მკრთალი ნისლით მოსილან მთანი.

ქმარი და შვილი მოუკვდა მართას,
დაუძინები მასპინძლობს დილას
და მთელი ღამე მოხუცი ართავს
დარდის და მატყლის გაუცვეთ ფთილას.

ვერ შეელია ამოსვლას გორზე,
მიდის მეგზურად, მიჰყვება ქარი,
როცა მზე დგება თეთრ მთათა თხორზე,
საფლავებს უვლის მოხუცი ქალი.

მერე დაღლილი ეშვება თავქვე,
ყოში სახლის გადადის ზღურბლზე,
მოქუფრულია მოხუცის სახე,
შემოსწოლია დარდები გულზე.

არც მეზობელი, არც ხმის გამცემი,
უძილარს ბევრი მოესწრო დილა,
გული კი, თითქოს შოლტით ნაცემი,
მშიერ მგელივით ყმუის და სტკივა.

ნასახლარებში დასახლდა ქარი,
კერაში არყი ნამოიმართა,
სოფელს არ ტოვებს ეს გმირი ქალი,
სოფელს ასოფლებს მოხუცი მართა.



რობერტ ადარი-აჯიაშვილი

აფხაჯთს

შენ, დვთიურო ან გელოზო,
აფხაჯეთო არნახულო,
მშობელ დედას მოწყვეტილო
და ჩემს გულში დამარხულო!..

ამალღებული სულით ახლა
სადღეგრძელოს ვსვამ,
იმ ნოსტალგიის, ისრაელში
გულს რომ ატირებს.
მე დღეს იმ მიწის
სადღეგრძელო მინდა დავლიო,
მოსაფერებლად შენთან მოსვლას
რომ დავაპირებ...
მონატრებისას, დიდი სევდით
ესვამ სადღეგრძელოს
და იმ ცრემლების,
ჩემ თვალებს რომ ჩამოსდენია.
უაფხაჯეთოდ მკერდმოჭრილი
დავიარები,
და მეც თქვენსავით
„ბარიახი“ სახელი მქვია.
ბოტანიკურზე ხელში თასით
ამაყად მდგარო,
კდემამოსილის - ქართველის დედის
სახელი გშენის!
შენით დამტკბარა ცოდვით სახეს
სიცოცხლე ჩემი,
გულს ჩამრჩენია შენი სითბო
და ხმალი შენი.
ისე მიყვარხარ, ვით არასდროს
და ისე ძლიერ,
დამწუხრებული თქვენს ნაღვლიან
თვალებსა ვკოცნი.
გეპატიუებით ჩვენს მიწაზე,
თუკი ჩამოხვალთ,
თქვენთან ყოფნის და მოფერების
რეკორდებს მოვხსნი...
და აი, ახლაც, ისრაელის
მცხუნვარე მზის ქვეშ,
ხმელთა ზღვის პირას,
თქვენზე ვფიქრობ, ბედს არ ვნებდები.
ვზივარ და ვდარდობ ლიძეაზე,
გაგრა-სოხუმზე,
ღანვებს მისველებს ცრემლები და
ვგრძნობ, რომ ვბერდები...
ტალღა მოგორდა, კოცნის ნაპირს
და მომაგონდა,
შავი ზღვა, გაგრა საყვარელი
და მაგნოლია.
აგერ, თოლიაც გვერდს მომიჯდა
ჩუმად, უშიშრად,
სოხუმში ვარ-თქო, ასე ვფიქრობ,
ასე მგონია...
ზღვა კი ღელავს და არ წყნარდება,
ალარ ისვენებს,
მარტო მან იცის,
ჩემი გულის სევდა-წამების,
ბობოქრობს, შფოთავს
და უთქვენოდ აღარ მიზიდავს,
არც ბახუსი და არც კრებული
ღამაზმანების...
ახლა მათ ნაცვლად, წარსული და
ფიქრები მართობს,
გაცქერ პორიზონტს
და კვლავ თქვენზე ფიქრები მათობს,
ღელავს ხმელთა ზღვა, მთვარეც
მიმზერს თავდამხობილი,
რომ ჩემი ლექსით მოგეფეროთ
გულწაბრობილი!..

ისრაელი, ხულონი



გრიშა შონია - 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ გრიგოლის ძე შონია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო გრიგოლ!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ მწერალს, მოღვაწეს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე წინარე საუკუნის 90-იან წლებში გადადგით, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა თქვენი პუბლიცისტური წერილები „თუ არა საერთო ძალისხმევით“ და „კიდევ ერთ სინდრომზე“.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესითა და მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორცაა „უსაშველო ქვეყანა, უსაშველო ფიქრები“, „საკუთარი გზით“, „მშვენიერება სიჩუმისა“... ამ წიგნებს თქვენ წლების განმავლობაში ქმნიდით დინჯად, აუჩქარებლად, დაგემოვნებით ქმნიდით XX საუკუნის საქართველოს სურათებს, სურათებს იმ ეპოქისა, რომელიც ქართველობამ გამოიარა, თითქოს მისი დავინწყებაც სცადა, მაგრამ მან თავად არ დაგვაინწყა თავი, არ დაგვაინწყა ის შუქ-ჩრდილები, ის ცოდვა-მადლი, რომლითაც ასე სავსე იყო XX საუკუნის მეორე მახევარი, რომელიც კოსმოსურ შავი ხვრელივით გვიზიდავს თავისკენ და მოსვენებას არ გვაძლევს, უპირველესად კი იმიტომ, რომ მაშინდელი ქართველობა ერთ სულ და ერთ ხორცად იყო ქცეული...

თქვენ მართლაც რომ პატიოსნად ხატავთ იმდროინდელ საქართველოს და ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ ბრძოლას სინამდისთვის, პატიოსნებისთვის, თავისუფლებისთვის, სათნოებისა და ერთგულებისთვის ყოველთვის აქვს გამართლება და ამ ბრძოლაში დანარცხებული სიმართლე მაინც ყოველთვის გამარჯვებულია.


ჩვენ, თქვენმა მეგობრებმა, კარგად ვიცით, რომ წლების განმავლობაში სამართალდამცავ ორგანოებში მსახურობდით და გვაკვირვებს, ასეთი უმკაცრესი პროფესიის მქონე პიროვნებამ როგორ მოახერხებთ თქვენს არსებაში, თქვენს თავში სინამდის, კეთილშობილების, სათნოების გადარჩენა.

საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის კერამიკული კომბინატის მუშად, ჭიათურის მაღაროებში მეზიგის თანაშემწედ, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მილიციის უფროსად, შსს თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შსს სამძებრო განყოფილების უფროსად, საქართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილედ, საგადასახადო სამსახურის ოპერატიული სამმართველოს უფროსად, შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილედ და რაღაც საოცარი ძალისხმევით ახერხებდით ყოფილიყავით ერთდროულად პრინციპულიცა და გულისხმიერიც, შეუვალიცა და კაცთმოყვარეც...

არაერთ უაღრესად საპასუხისმგებლო არჩევით თანამდებობებზე გიმუშავიათ და ყველგან ღირსეული კვალი დაგიტოვებიათ.

ბატონო გრიგოლ!
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს ერთგულ მხედარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ბათუ დანელია - 70

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი ბათუ ბარნაბას ძე დანელია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ბათუ!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, ქართველ პოეტთა ორდენის ლირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ლიტერატურულ სამყაროს 1974 წელს მოველინეთ, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურულ რუბრიკა „ირმის ნახტომში“ ლექსების ციკლი გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ არაერთმა ათწლეულმა განვლო, რომლებმაც ყველას დაანახა, რომ თქვენი სახით XX-XXI საუკუნეების ქართულ პოეზიას საკუთარი ხელწერის მქონე უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედი ჰყავს, მისი დიდი წინაპრების სულიერ მემკვიდრედ რომ გვევლინება.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი პოეტური ნააზრევი, რომელმაც ისეთ წიგნებში დაივანა, როგორცაა „ქალაქი ფრთებქვეშ“, „წყნარი ქუჩა“, „ტიხარი“, „მარტოობის ზამთარი“, „მთვარის დღესასწაული“, „შემლილი ვარსკვლავები“, „მერვე ბგერა“, „ირაბილის ვიტა“, „ასი ლექსი“, „სიყვარული ბალასტიან...“ შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ მათი ავტორი ბედისწერისგან, განგებისგან მიორიადჯერ ნაწამები და გათელილი მიორიადჯერ რომ აქვს ნაგემი შხამი და სამსალა, მაინც სიკეთისა და კეთილშობილების, სათნოებისა და სიყვარულის მეზობლებად და რაინდად რჩება და მასთან მისასვლელ ყველა გზას უჭრის ეშმასა და სატანას...

პოეტური ფიქრია თქვენი, როგორც შემოქმედის, ძირითადი თვისება. თქვენთვის უცხოა გრძობებით თამაში და, მით უმეტეს, ყალბი პათეტიკა. თქვენი ლექსი ხომ აზრობრივი ელემენტების გამოვლენას, მეტაფორაზე, დეტალების ჩამოთვლაზე არის აგებული და ამითაც აღძრავს ცხოველ ინტერესს, ამიტომაც გვესახება ჭეშმარიტი პოეზიის ნაწილად, ამიტომაცაა, რომ თქვენი საუკეთესო ლექსების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენში ნებისმიერი პოეტური ანთოლოგიის გამოცემა. ყოველთვის გვიხარია, როდესაც თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნება ლატვიურ, ლიტვიურ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, ბელორუსულ, რუსულ, ბულგარულ, ჩეხურ ენებზე, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ლექსები ნებისმიერ ენაზე სრულად წარმოაჩენს ქართული სულის მდულარებასა და სიდიადეს.

თავდაცვ ხომ ჩინებული მთარგმნელი ხართ. რა მშვენივრად თარგმნით ალექსანდრ პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას, გიიომ აპოლინერის, გოლფრიდ ბენის, რაიმონ კენოს, ედგარ ალან პოს, ლეოპოლდ სტაფის, რობერტ ფროსტის, ვაჰან ტერიანის, სრენკო კოსოველის, იანკა კუპალას ლექსები, ყირგიზული ეპოსი „მანასი“... ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრწყინვალედ აამეტყველეთ ქართულად რუსული პოეზიის ორი კლასიკოსის - ბორის პასტერნაკისა და იოსიფ ბროდსკის პოეზია. ამ უკანასკნელის თქვენეული თარგმანების კრებულმა უკვე ოთხ გამოცემას გაუძლო...

მართლაც რომ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება გაქვთ. გიმუშავიათ მეტროპოლიტენისა თუ ჩარხმშენებელ ქარხანაში, კინოსტუდია „ქართულ ფილმსა“ თუ გაზეთ „ნიგნის სამყაროში“. წლების განმავლობაში იყავით საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი, აღმანახ „ენგურის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

თქვენი პოეტური ღვწა ვაჟა-ფშაველას, „საბას“, „ქუჯის“, მწერალთა კავშირის (2) პრემიებით აღინიშნა. 2016 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წლის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებად აღიარა თქვენი „თოვლის მეფე“.

დაჯილდოებული ხართ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი - ღირსების ორდენით.

სულ ახლახან თქვენმა მეგობრებმა გულით გავიხარეთ, როცა დიდი ილია ჭავჭავაძის - ილია მართლის სახელობის პრემია მოგენიჭათ მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის.

ჩვენო ბათუ!
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღირსეულ შემოქმედსა და მოქალაქეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



შარლოტა კვანტალიანი - 70



ნათელა გოხელაშვილი - 70



დარიკო ფიფია - 50

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი შარლოტა სერგოს ასული კვანტალიანი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო შარლოტა!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედსა და ლიტერატურისმცოდნეს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი შედგა 1970 წელს, როდესაც სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გაზეთში გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ტირის სანთელი“. მას შემდეგ ზუსტად ნახევარი საუკუნე გასულა და ჟამთა მდინარეებამ დაადასტურა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიას თქვენი სახით ერთი ფესვმაგარი ფიქრიანი შემოქმედი ჰყავს.

ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ხვდება თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ძახილი მეორე ნაპირიდან“, „სიყვარულს არა აქვს საზღვარი“, „სიყვარულის გაკვეთილები“, „სიყვარულიდან სიყვარულამდე“, „წმიდა აბო თბილელი“... ამ კრებულებში შესულ ლექსებს სინოფლე, უშუალობა, ორიგინალობა, ემოციურობა, უნაზესი ინტონაციები გამოარჩევს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თქვენს პოეზიაში საოცარი ძალით შეერწყა ერთმანეთს ჭეშმარიტი მანდილოსნის - შვილის, დედის, სატრფოს, მეუღლის უსათუთესი ფიქრები და ოცნებანი, ზმანებანი და ვნებები. ამ ლექსების გაცნობისას ვრწმუნდებით რა ძვირფასია თქვენთვის ლურჯი სიზმრებიდან მოფრენილი მერცხლები - შვილები, როგორ ელაციციებით დიდ წინაპართა აჩრდილებს, ექვთიმე მთაწმინდელი იქნება ის თუ წმიდა აბო თბილელი...

თქვენი პოეტური ნააზრევი თარგმნილია უკრაინულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. თავადაც ჩინებულად თარგმნეთ ალექსანდრ პუშკინის, ანა ახმატოვას და მაქს უინის ლექსები.

თქვენს კალამს ეკუთვნის მოთხრობების კრებული „სანტიმენტალური ისტორიები“, აგრეთვე საბავშვო ლექსების სამი კრებული („მზესთან თამაში“, „სიზმრების პრემიერა“, „მტირალა ნიანგი“).

მნიშვნელოვანია თქვენი ლიტერატურული წერილები ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილის, გრიგოლ რობაქიძის, შოთა ნიშნაიანის, ანა კალანდაძის შემოქმედებაზე.

„ზნობრივი გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში“ - ასე ეწოდება მონოგრაფიას, რომლისთვისაც 1992 წელს ფილოლოგიის დოქტორის ნოდება მოგენიჭათ. წლების განმავლობაში კითხვობდით ლექციებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობისა და კულტურის უნივერსიტეტებში. 1979 წლიდან თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი ხართ და წარმატებით იკვლევთ ქართული მწერლობის განვითარების კარდინალურ საკითხებს.

უნარიანად ხელმძღვანელობდით ისეთ საინტერესო ჟურნალს, როგორც რუსთაველი გამომავალი „ალგეთი“ იყო. ამჟამად სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთ „კალმასობის“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებით.

დაჯილდოებული ხართ ანა კალანდაძის სახელობის პრემიით. ქალბატონო შარლოტა!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, ჩვენი სამწერლო ოჯახის კოლორიტულ წევრს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი ქალბატონი ნათელა გაიოზის ასული გოხელაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ნათელა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ივერთა მიწის მეხოტბე შემოქმედს და გილოცავენ ღრმსახიან მწერლობაში თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 წლისთავს.

სრულიად ნორჩმა გამოაქვეყნეთ გორის რაიონულ გაზეთ „გამარჯვებაში“ პირველი ლექსი „გასაუბრება გვირილასი და სოსნის“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, რომანები, მოთხრობები, ნოველები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

სიყვარულია თქვენი შემოქმედების ანი და ჰოე, სიყვარული სამშობლოსი, რომელსაც ასეთი შთაგონებით, ნრფელად უმღერით და არსთაგამრიგეს ავედრებთ მის არსებობას, სამშობლოსი, რომელიც არსებობის პირველივე დღეებიდანვე აქამომდე ბენვის ხიდზე გადის. აფხაზეთი, სამაჩაბლო, ტაო-კლარჯეთია თქვენი დიდზე დიდი მოურჩენელი იარა და სატკივარი... მთელი არსებით იმ წინაპრებს შენატრით, ვინც ქართველობისთვის ისტორიულ ნიშან-სვეტებს წარმოადგენენ - ქუჯის და ფარნავაზს, ცოტნე დადიანს, დიდ დავით აღმაშენებელსა და ვახტანგ გორგასალს... ისევ მათი გემედებათ, ისევ მათი შემართებისა და უებრო ვაჟკაცობის იმედად ხართ, იმის იმედად, რომ მათი შემხედვარე ქართველობა ერთ მუჭად შეიკვრება და საქართველოს ძლიერებას წინ ვედარაფერი დაუდგება.

სწორედ ასეთი განწყობის, ასეთი რაინდული სულისათვის შეგიყვარათ მკითხველმა, შეიყვარა თქვენი შემოქმედება, რომელმაც დაივანა ისეთ კრებულებში, როგორცაა „ჩანახატები“, „ივერიის გაბრწყინება“, „დიონისოს ძმადნაფიცი“, „პოეზია“, „თმოგველი“, „სნაიპერი“, „უშიშ იყავ-ნუ გეშინინ!“

დაიხ, ამ კრებულებში დიდი ადამიანური ვნებები ბობოქრობს, ჭეშმარიტების ძიებებითაა სავსე და, რაც მთავარია, თქვენს ყველა ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს დიდი იმედი, რომ ჩვენს ქვეყნებში კვლავ და კვლავ ჩაიწერება ქართული ვაზის ნაჟური - მაცხოვარის სისხლი და ივერია - ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა გაბრწყინდება.

ქალბატონო ნათელა!

ყველას კარგად გვახსოვს, რომ თქვენ ყოველთვის იქ იდევით, სადაც პირსისხლიანი მტერი გვიტევდა, იქ, სადაც მამულის გამარჯვებები იჭედებოდა და თქვენი წილიც შეგქონდათ ქართული სულის ყივილებაში...

თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება გიორგი ლეონიძის სახელობის და „ივერიის“ (2) პრემიებით აღინიშნა.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მშვენიერ ქალბატონსა და მოღვაწეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი დარიკო ვახტანგის ასული ფიფია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო დარიკო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, დიდებულ მეცნიერს და გილოცავენ ღრმსახიან მწერლობაში თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან, მაგრამ ფესვმაგარ, ძელქვასავით ძლიერ რაზმს განეკუთვნებით, რომელიც გულის გულში ატარებს მისი სათაყვანებელი კუთხის, აფხაზეთის ტკივილებს და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ აფხაზეთიდან დევნილმა ქართველობამ არ დაკარგოს შინ დაბრუნების იმედი, არ დაკარგოს მათი სალოცავი ადგილების ხელმეორედ ნახვის იმედი...

1988 წელს შედგა თქვენი სამწერლო დებიუტი, როცა ჟურნალ „რინაში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

სამი პოეტური კრებულის ავტორი ხართ. „ღამისთევა“, „კედელი“, „ორი მზე“ - სწორედ ამ კრებულებში დაივანა თქვენმა ფიქრიანმა, სევდიან და ნალველით გაჟღერებულმა პოეზიამ, რომელიც დიდი მონონებით სარგებლობს გემოვნებიან ქართველ მკითხველთა შორის. ამის მიზეზი კი უმარტივესია: ამ ლექსებში XXI საუკუნის მკვიდრის ფიქრები და ზმანებება გაცხადებული ისე ცხადად და დიდი ხელოვნებით, რომ მამინევი მისი სულის თანაზარს გხდის. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ხომ ზამთარშეპარული თბილი ბელურასავით კენკავს ირგვლივ მიმოფენილ ფერად დღეებს, ცდილობს როგორმე გაუსხლტეს შავი ძაფებით მოქსოვილ ლალატის ბადეს, რომელმაც მშობლიურ სანახებს მოაშორა. ქართული ცის მეხოტბეა, სუფთა, კრიალა, მკერდზე ცრემლივით საფირონის თვალბედაყორი ცის მეხოტბე, დარდის ფილას რომ აგონებს მისი უკიდევანო ლაჟვარდები. ეს იზომება მარჯნისფერი ხეები სანაპიროზე, მხრებზე კვიპაროსის ნაწნავიანი შორეული ზღვა, შეუძლია საათობით უცქიროს, შუბლდამდნარი თაფლისფერი მზე როგორ იღვინება აგვისტოს ზვამში, როგორ ლივლივებს ყვითელ ნისლეტში მორცხვი მიმოზა, ძალიან სურს ქარებს და წვიმას გაატანოს ვნების დღეები და მერმე მაყვლოვანში შეეგებოს უბინო დილას; სევდით შეჰყურებს აპრილის ჩიტებს, მის მშობლიურ კუთხეში დაბრუნება რომ შეუძლიათ...

მართლაც რომ ჩინებული ლიტერატურისმცოდნე ხართ. სამეცნიერო წრეებში ინტერესით შეხვდნენ თქვენს ისეთ მონოგრაფიებს, როგორცაა „სიმბოლისტური ტენდენციები ტერენტი გრანელის შემოქმედებაში“, „ტერენტი გრანელი და ქართული სალიტერატურო კრიტიკა“, „მოდერნიზმი და ტერენტი გრანელი“. ამ უკანასკნელისთვის 2000 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნოდება მოგენიჭათ. ქართულ და უცხოურ სამეცნიერო პერიოდიკაში თქვენი 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია დაიყვანა, მონაწილეობდით საერთაშორისო და რეგიონალურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხვობდით სალექციო კურსებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში; უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში; ოციანი წლების ლიტერატურული სკოლებისა და მიმართულებების შესახებ; მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმზე ქართულ მწერლობაში; ქართული მეტყველების კულტურაზე; ანტიკური ლიტერატურის ისტორიაზე...

იყავით საუნივერსიტეტო გაზეთ „სოხუმის სადროშოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, უნივერსიტეტის ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი. ამჟამად კი სოხუმის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ხართ...

სინაზით, სათნოებით, მშვენიერებით გამორჩეულ ქალბატონს არც პრინციპულობა და შეუვალობის გამოჩენა გიჭირთ, როცა საქმე საქვეყნო ინტერესებს ეხება.

ქალბატონო დარიკო!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი საწუკვარი ოცნებების ასრულებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



გიორგი ხარაიშვილი

გაზაფხული

ჩვენ მუდამ ასე მარტო ვიქნებით, ფიქრით, მუსიკით, ვისკით, სიგარით... ჩვენ შორის მუდამ ასე იდგება იმ განშორების ლურჯი ტიხარი...

აქ ქარი იყო. ქარმა გაშიფრა მოგონებების მძაფრი კოლაჟი. შენ, როგორც მუდამ, შუა ქარში ხარ, შუა ცეცხლში ხარ, შუა რბოლაში...

სანამდე დუმილს კბილებით ვიჭერ და შინაგან ხმას წამლით ვაყურებ, სანამდე შემრჩა მოთმენის ნიჭი, ახეული მაქვს სანამ ლაყურნი...

მაგრამ ბოლომდე არავინ იცის, რა ცოდვა გადავს, რა ფიქრი გქენჯნის, როდესაც უმზერ ვარსკვლავთა ციმციმს და პლანეტების ბრჭყვიალა მეჯლისს...

არ გიცნობ. არ გიცნობ. არ გიცნობ.. და ქარი მეძახის გარედან.. არ ვიცი, თუ როგორ განგივრცო, ეს ვნებით დაღლილი პლანეტა...

სანამ ცხოვრება გავიაზრე და სანამ სიცოცხლე გავითავისე, ოცნება მაინც ვერ ავისრულე მთელი ზაფხული გავიდა ისე...

გია თოფურია

ოსტატი

მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში პოეზია კულტურის შემადგენელი ნაწილია, ხოლო საქართველოში ყოველდღიურობააო. ეს სიტყვები ეკუთვნის ნიკოლოზ ტიხონოვს, ხოლო გიორგი ლეონიძემ კი - რა საჭიროა ლექსისთვის ტაძარი, ყველა ხევესური ვიცი დანტეაო.

ღისის ტბის ლერწმებს

თითქოს და რაღაც გულზე მომწინკის, ამეღლებიან უმალ ფიქრები, როდესაც ქარის მიმართულებით ყველანი ერთად გადაიხრებით.

აცანა

ისეთ სინაზეა მაგნოლიის რტოების, მე აქ გეოლოგივით დავსახლდები დროებით.

გულმა როგორ გამიძლოს, რამე რომ არ ვეძებო, აქ უთუოდ იქნება ოქროს საბადოები.

ნუშაპი რიკოთის გზაზე

გამოპარულებს ჰგავდნენ სახლიდან ცნობისმოყვარე ეგზომ თვალებით, რიკოთის გზაზე, ჩუმათელეთთან, ნუშაპი არასრულწლოვანები.

ნუშაპიკაპა

ერთი შაში მყავს, არ მოეშალოს ღვთისგან წყალობა, კარგა ხანია, ხმაზე ვცნობ უკვე, ექვსის ათ წუთზე იწყებს გალობას.

თუ როგორი ექსპრესიითაა დაწერილი აღნიშნული ლექსები, პოეტური სულის ყველა ადამიანი მიხვდება. და მაინც მის შემოქმედებაში უპირველესი ადგილი ადამიანს უჭირავს, რომელც ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად შექმნა, ამიტომ იგი თავის ლექსებში ადამიანებს, როგორც ღვთაებებს ისე მონებითა მოკრძალებით ელაციცება.

მინდა, რომ ჩემის სიცოცხლის დღეები ასე მიმყავდეს, ყოველთვის ვინმე მომწონდეს, ყოველთვის ვინმე მიყვარდეს.

შესაძლებლობა ამისი, ასე თუ ისე, რომ მქონდეს, ნება მომეცით, მიყვარდეთ, ნება მომეცით, მომწონდეთ.

მეორე ლექსში კი ის უფრო შორს მიდის და თავის სიყვარულს იმ ადამიანების მიმართაც გამოხატავს, რომლებიც საერთოდ არც უნახავს, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი ისეთი პოეტისაგან, როგორც ნომადი ბართაია. მისთვის ადამიანი ხომ სამყაროს საოცრებაა, შესაქმის გვირგვინია და ღმერთის ხატსახეა. აი, ეს ლექსიც:

აი, ძვირფასო, მოვედი რისთვის, აი, ძვირფასო, რისი თქმა მსურდა: გიყვარდეს უნდა, არსებობ რახან, რახან არსებობ, გიყვარდეს უნდა.

სიყვარულისთვის ერთია ყველა, ვინა ხარ, რა ხარ, რა ხარ და ვინ ხარ, მე ისიც მიყვარს, მინახავს ვინც არ, ვინც არ მინახავს, მე ისიც მიყვარს.

ადამიანი ხომ ჩვენი სამყაროს უნიკალური განძია, რომელიც ღმერთსა და სამყაროს შორის დგას და ეს განძი პოეტმა სიჭაბუკის წლებშივე შეიყვარა და ყოველი მისი ლექსი, რომლებიც ნაცნობების, მეგობრების და ღირსეული ადამიანებისადმი აქვს მიძღვნილი, უდიდესი სიყვარულით არის განმსჭვალული.

ნომადი ბართაია, გარდა იისა, რომ ქართული ლირიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია, იმავდროულად არის უდიდესი იუმორით დამუხტული მწერალი. მისი ნაწარები თავისუფალია ყოველგვარი ცინიზმის, სატირისა და სარკაზმისაგან.

ნომადი ბართაია ათეული წლებია სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. არის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, წლების მანძილზე იკვლევდა და იკვლევს იგი სპარსულ-ქართული ლიტერატურულ-ენობრივი და კულტურული ურთიერთობების საკითხებს. ოთხ ათეული წელზე მეტია, რაც იგი კითხულობს ლექსებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ღრმად იცნობს სპარსულ პოეზიას. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი აქვს უდიდესი სპარსელი კლასიკოსების ლექსები და ირანის კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ის, ყოველწლიურად, ზოგჯერ კი წელიწადში რამდენიმეჯერ, სამეცნიერო მიზნებით მიემგზავრება ირანის სხვადასხვ უმაღლეს სასწავლებლებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სამეცნიერო კონფერენციებისა თუ სხვა სახის კულტურულ ღონისძიებებში. მას, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან, ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს ფერეიდნელ ქართველებთან. ერთხელ ირანიდან დაბრუნებულმა მითხრა, რომ ოთხასი წელია, ფერეიდანში ქართველს ქართველი არ მოუკლავსო. ეს რომ მოვისმინე, მწარედ გამეღიმა და გამახსენდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც ქართველები დაუნდობლად ხოცავდნენ ერთმანეთს.

ეს მოკლე და მოკრძალებული წერილი, მსურს დავამთავრო ნომადისავე შესანიშნავი ლექსით:

არ ვიცი, როგორ გადავუხადო, მაღლობა, რისიც ის არის ღირსი;

რა ჩიტი იყო, გალობდა როგორ, სახელი მაინც ვიცოდე მისი.

დასასრულს, ნომადის მინდა ვუსურვო შემოქმედებითი წარმატებები, ჯანმრთელობა და იმდენი ხანს სიცოცხლე, სანამ მისი მგალობელი ჩიტები სათითაოდ თავიანთ სახელებს არ გაუთმევენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,
ოთხი წლის წინ საქართველოს მწერალთა კავშირის და ვანის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ვანში გავხსენით საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი „სამანელთა“ შეთქმულების წევრის, 1942 წელს დახვრეტილი პოეტის გიორგი ძიგვაშვილის სახლ-მუზეუმი.

ოთხი წელია ვტკეპნით იმ პირთა კიბეებს, ვისაც ამ მუზეუმის მოწყობა თანამდებობრივად ევალება (ვანის გემგებელს ვერ დავემდურებით, რადგანაც მას სახსრები არ გააჩნია), მაგრამ არათუ ქმედით დახმარებას, პასუხსაც ვერ ვეღირსეთ. ამ ოთხი თვის წინ გავბედეთ და თქვენ შეგანუხეთ, მივიღეთ თქვენი პასუხი იმედისმომცემი რეზოლუციით. „თქვენს წერილში დასმული პრობლემის მოგვარება დაევალა კულტურის სამინისტროს და ტურიზმის დეპარტამენტს“.

სული გაგვიტობო თქვენმა გულისხმიერებამ, საქართველოსთვის შეწირული უღვთოდ და უსამართლოდ დახვრეტილი 24 წლის ბიჭის ბედი ერთადერთმა თქვენ - გიორგი გახარიამ მიიტანეთ გულთან. გადის თვეები და ზემოთნახსენები ძვირფასი უწყებები, ჯერჯერობით, რომ იტყვიან, თითს თითზე არ აკარებენ.

კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას და იქნებ დაავალოთ რომელიმე თქვენი უწყებიდან შეახსენოს (ან შეანჯღრიოს) კულტურის სამინისტროს და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელები გიორგი ძიგვაშვილის 140 წლის სახლის შესაკეთებლად იმ კონდიციამდე მანძი, რომ ექსკურსიაზე მიმსვლელს კიბე არ ჩაუტყდეს.

ქართველ მწერალთა სახელით
თქვენი ღრმად პატივისმცემელი რევაზ მიშველაძე

რამაზ სურმანიძე

გარდაიცვალა გულმხურვალე პატრიოტი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მოქალაქე, თვალსაჩინო პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მეცნიერი - რამაზ სურმანიძე.

რამაზ სურმანიძე დაიბადა 1933 წლის 10 მაისს, შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, პედაგოგის ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ შეუდგა შრომით საქმიანობას. 1999 წელს მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იყო პროფესორი, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1983 წლიდან იყო საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის წევრი, 1987 წლიდან - საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

რამაზ სურმანიძის სამწერლო დებიუტი შედგა 1967 წელს, მოთხრობით „გულის სახსოვარი“, რისთვისაც მიიღო საკავშირო პრემია.

ბატონი რამაზი გახლდათ ფრიად ნაყოფიერი შემოქმედი. არის 4 რომანის, მოთხრობათა 9 კრებულის, 1000-მდე პუბლიცისტური და საბიოგრაფიო წერილის ავტორი. აქტიურად მუშაობდა ქართული გვარების ისტორიაზე, ამ თემას მიუძღვნა 14 მონოგრაფია.

სხვადასხვა პერიოდში გამოცემული ნიგნებიდან აღსანიშნავია: „ემრულა“, „შინ და გარეთ“, „გოგოლა“, „პროზა“, „მურღულის ქვა“, „მფარველი ანგელოზები“, „ლაზეთის ლეგენდა“, „ზეცასთან მოუბარი“ და სხვ.

თარგმნილი აქვს ანტონ ჩეხოვის, ივან კირჩაკოვის, მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოებები.

სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონის მთავარ ექიმად, ბათუმის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ, აჭარის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარედ, აჭარის ჯანდაცვის მინისტრად.

სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მის მიერვე დაარსებული სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორად.

რამაზ სურმანიძე 1990 წელს დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. გარდა ამისა, ოთხგზის იყო არჩეული აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბატონო რამაზი დამფუძნებელია არაერთი სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციისა.

მინიჭებული ჰქონდა აბუსერისძე ტბის, ილია ჭავჭავაძისა და ზაქარია ჭიჭინაძის პრემიები.

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

გახლდათ ქალაქ ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე.

წავიდა ჩვენგან ძვირფასი მეგობარი, დამრიგებელი, კოლეგა, ბრძენი ინტელიგენტი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი. ჩვენი კუთხის წარსულზე და მომავალზე ფიქრში ღამეთა მათევალი - რამაზ სურმანიძე.

წავიდა და მდიდარ შემოქმედებასთან ერთად, დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა და ტკივილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ვალმოხდილი მამულიშვილის სული.

საქართველოს მწერალთა
შემოქმედებითი კავშირის
აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია

ივეტა პავლიაშვილი-დონხაძე

იქნებ ჩაიარა კიდეც?!

ველოდი, დიდხანს ველოდი...
იმ მატარებლის მოსვლას,
რომლითაც ჩემი ოცნებით
ვმოგზაურობდი როცა...

მთელ დღეს ვიდექი ბაქანზე,
ვინ რას ამბობდა, ვინ რას...
ჩემი ფიქრი და ოცნება
წვიმდა, წვიმდა და წვიმდა...

მოსალამოვდა... აგრილდა...
ფეხშეუცვლელად ვიდექი,
ის კი არადა, არ ჩანდა
ზეცამ ჩაყლაპა იქნებ?!

აღბათ დროებამ გამასწრო,
იქნებ ჩაიარა კიდეც?!
ვუცქერი, მაგრამ ვერ ვხედავ
უსასრულობის კიდეც.

ბალღივით ავყევი ოცნებას,
ნეტავ ჭოგრიტში ჩამსვა...
მომნატრებოდა ყოველი -
ჩემი წარსული - ჯვარცმა...

ვხედავ მელნისფერ ღამეს
ცას ვარსკვლავებით სავსეს,
ვხედავ ჩირაღდანს - მთვარეს,
სითბოთ დღესაც რომ მავსებს.

ვხედავ ორეულს ჩემსას
ცის სასანთლებს ანთილს,
ვუსმენ ბულბულის სტვენას,
ძახილს იმ მთიდან ამ მთის
და მონატრება მწვანე
მთვარის კანდელზე იწვის.

ლიანდაგს შუა ვეძებ,
წლებში დაკარგულ ფიქრებს,
მივყვები ისევ იმ გზას...
ტაძართან მისვლის იმედს.

ქეთევან ნადირაძე

გათენდა

გათენდა, დილაა საოცრად შეცვლილი.
ნაცნობი და თანაც რა უცხო ხილია.
ვუმზერი ალიონს თვალეზდაჭყეტილი.
შავეთეთრი ვარდები გადაპენტილია.

იწვიან ტრფიალით მფეთქავი გულები.
წუთია ქცეული ნატვრად და ოცნებად.
მზე, მთვარე შუქებით გადანასკულები
ცას ჩახუტებიან გასასხივოსნებლად.

სამოთხის ბაღში ვარ, ვგიგვიზებ
ტროფობაში.
გრძნობაა საამო, დღე არის ქებული.
ვიჭრები შორეულ უსასრულობაში,
სიყვარულისგან ცეცხლნაკიდებულში.

სისხლია მუსიკად, არიად ქცეული.
წამოილილინა კაშკაშა სხეულმა.
სიამეს შევიგრძნობ აბრიალებული.
ღმერთკაცად შეგიცან
გაქალღმერთებულმა.

მარიამ იორამაშვილი

ჩამო ტახილო მამულო!

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
მოლილინე მტრედივითა,
შენ პატარა ნატვრის თვალო,
ამ თეთრგულა მტრედივითა.
ჩემო ტახილო მამულო,
საფიცარო შვილივითა,
მონკრიალე სალაშურო,
სალოცავო ღმერთივითა.
თოვს ბარდნის და დე, ითოვოს,
ყინვა ლხვება ცვარივითა,
ხეზე კვირტინი გაიფურჩქნა,
გაზაფხულის ვარდივითა.
დაილოცოს საქართველოს
ჩემი მინა და ფესვები,
ვარსკვლავები ციდან ცვივა,
თითქოს ბრილიანტის თვლები.

ეთერ ზაქარიაძე

ჩამო მავობრაზო!

პოეტობას არ ვიჩემებ...
ნოსტალგია მომერია...

ჩამოზნელდა...
მზეს მოეფარა ღრუბლები...
დაიგრუხუნა, ცაზე გავარდა მეხი,
წვიმას აპირებს, სევდა დაგროვდა,
შიშმა მომიცვა, ნისლმა დაფარა მთები.
ბუნება კვდება, ვარდები ჭკნება,
არსად აღარ სჩანს იები,
ზღვა აღელდება, წყალი მატულობს,
მას ემატება ჩემი ცრემლები...
გული ჩერდება და სიბნელეში რჩები,
გზა ჩაიხურგა... ცრემლმა დატბორა გზები,
მღვრიე წყალს, გიჟმა წყალს...
უხვად მოჰქონდა ქვები...
აზრი არ ჰქონდა შევბრძოლებოდი,
მღვრიე წყალს... ფერიც არ ჰქონდა...
„წყლის ნაყვა იყო, ვხვდები...“
მთას შევეფარე, მუხლი მოვიდრიკე,
ფიქრები დავივივი გულზე,
ქარი ბობოქრობდა, მეხი ზმუოდა...
ხეები ტიროდნენ, ტოტები სტყდებოდათ...
გამარჯვება სურდათ მტერზე...
ველარ ვიგრძენი... როგორ დაღამდა...
გარეთ თუ სულში ბნელი მეფობდა...
სიცივე ვიგრძენი, ცრემლებით
კაბა დამსველებოდა...
გზა აღარ ჩანდა .. ისე ბნელოდა,
შიშმა მომიცვა, თვალები დავხუჭე,
ამ ცივ მინაზე მარტო ვიყავი...
გული კვნესოდა... საით წავიდე ?...
იქნებ სიზმარში ვინმე მესიზმროს...
და ვაი, სიზმარო, მე დარდი წამომყვა,
რაც მელანდებოდა, ის მესიზმრებოდა,
თავს მოვერიე... ცრემლი შევიშრე..
განა ოდესმე მემღერებოდა..?
ხეები მილიმოდნენ, ფოთლები შრიალებდნენ,
ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ბულბული გალობდა...
მუსიკა მომესმა კლასიკა იყო
ცეკვა მომინდა მემღერებოდა
ისევ სიზმარში... თვალი დავხუჭე...
სველი კაბით ცეკვა დავინყე...
ცეკვავდი ვალსს ვხედავდი გზას
ვხედავდი სახლის დაკეტილ კარს
უკან მოვიხედე ჩიტები მოფრინდნენ
ლამაზად შლიდნენ...
ჩემი ცრემლებით დანამულ კვალს....

საქართველოს მწერალთა კავშირი და
„მწერლის გაზეთის“ რედაქცია
ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პოეტ
შპსი ჩხატინის
გარდაცვალების გამო